# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ცრუილობით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 11 თებერვალი. 2022 წ. №23 (9361) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი


ომარ მარგველაშვილი:



## პოლიტიკოსებო, დაფიქრდით, ფიქრი ხომ ადამიანის მუდმივი თანამგზავრია!



**განსხვავებულ პლატფორმაზე მყოფ პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირებას უკლებლივ ყველა ქვეყანაში გარკვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები რომ აქვს, საყოველთაოდ ცნობილია.**

საქართველოში შიდაპოლიტიკური მოვლენების ისეთი დომხალია, რომ ძალაუფლების სათავეში მოსაბრუნებლად ოპოზიციური სპექტრის „დამრტყმელი“ ძალის, ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა თითქმის ყოველი აქცია „აბსურდის თეატრს“ წააგავს, ვიდრე ქვეყნის მომავლის სასიკეთოდ გადადგმულ თუნდაც მცირე ნაბიჯს. ასეთი უთავბოლო ფაფხურის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამ ჯერად ნაცების ვაი-პოლიტიკოსების ერთ უსაქციელობაზე მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო, რომელსაც ამ პოლიტიკური ძალის საქართველოს პარლამენტში არჩეულ დეპუტატთა საკანონმდებლო ორგანოში გაუთავებელი „შესვლა-არშესვლა“ ჰქვია და მინდა მათ მივმართო: **ქალბატონო და ბატონო ნაციონალებო, თქვენ საქართველოს პარლამენტი რუსული „პრახადნოი დვორი“ ნუ გგონიათ. რომელსაც როცა მოგესურვებათ დემონსტრაციულად დატოვებთ, მერე როცა წყენა გადაგივლით — ისევ მიბრუნდებით და კვლავ წამოსკუპდებით სავარძლებში, თუმცა მახინჯურ აქციებს მაინც ვერ ელევით.**

**ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება — პარლამენტის თავხედურად და დემონსტრაციულად დატოვების შემთხვევაში დეპუტატს უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება, იმუნიტეტი, ხელფასი და ყველა სხვა პრივილეგია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უმსგავსობა გაუთავებლად გაგრძელდება.**

იხ. 3 გვ.



## პოლიტიკოს ქალთა შეხვედრა ორბელიანების სასახლეში

**გუშინ**, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ორბელიანების სასახლეში სხვადასხვა სფეროს ქალ-წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა ეროვნული თანხმობის პროცესის პირველი საჯარო განხილის ფარგლებში მიმდინარეობდა.

შეხვედრაში მონაწილეობას ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ქართული ოცნების დეპუტატები ღებულობდნენ.

## რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ პუტინის ოლიგარქებს ფინანსური სანქციები არ აწყობთ!

4

## რამაზ საყვარელიძე: დამნაშავეა ის, ვინც ადამიანებს ქონებას პარავს, მაგრამ ადამიანებს ვინც სულიერებას, რწმენას პარავს, ის ათასჯერ უფრო დიდი დამნაშავეა

5

## ჯემალ აჯიაშვილის პრემია ფაზილ ისკანდერის მთარგმნელს გიზო ზარნაძეს



7

◉ ანონსი — 14 თებერვალს

**ციტატა ინტერვიუდან – მშვიდობის საფუძვლების ანალიტიკური კვლევების ცენტრის თავმჯდომარე როლანდ ნიკოლაიშვილთან**

- „...სანამ კონფლიქტების სამართლიანად დასრულების მიზნით ხელისუფლება არ დაიწყებს თანამშრომლობას სოხუმთან და ცხინვალთან, იმის მტკიცება, რომ „კონფლიქტების თემაზე სერიოზულად ვმუშაობთო“, საზოგადოების და საკუთარი თავის მოტყუებაა...“
- „... „ოცნების“ ხელისუფლება ვერ ბედავს თანამშრომლობის დაწყებას სოხუმთან და ცხინვალთან...“
- „...კონფლიქტების სამართლიანად დასრულებისკენ მიმავალ გზაზე დასადგომად მე-10 მოწვევის პარლამენტმა უნდა გადადგას ის ნაბიჯი, რომელიც (რევოლუციის გამო) ვერ გადადგა შევარდნაძემ...“

## „განჯის ჭიშკრის“ დავით-გარეჯზე ჩანაცვლება კიდევ ერთი აბსურდია!

6





**ყურადღება!** ვინაიდან კოვიდპანდემიამ ისევ რთული ვითარება შექმნა რედაქციაში, ჩვენი ყოველდღიური გაზეთი, მომდევნო ერთი თვის განმავლობაში გამოვა კვირაში სამჯერ. ბოდიშს გიხდით მცირედი შეფერხებისთვის.

№23. პარასკევი, 11 თებერვალი, 2022 წელი.



# სუს-ის უფროსი ტელევიზიებსა და ლევან ხაბეიშვილს უჩივის!

**გრიგოლ ლილუაშვილი, როგორც „პრაიმ თაიმი" იუწყება, ორი ტელეკომპანიისა და დეპუტატ ლევან ხაბეიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.**

გრიგოლ ლილუაშვილის ადვოკატის, მამუკა ღვინიაშვილის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

**„ტელეკომპანიების „მთავარი არხისა" და „ფორმულას" ეთერებით გავრცელდა ინფორმაცია ე.წ. „ქოლ-ცენტრების" საქმიანობის, მათი შესაძლო ფიგურანტების და მონაწილეების შესახებ.**

**გავრცელებული სიუჟეტებით „ქოლ-ცენტრებთან" შემხებლობაში მყოფ ერთ-ერთ პირად დასახელდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი. როგორც გრიგოლ ლილუაშვილის ადვოკატი, ვაცხადებ, რომ „მთავარი არხისა" და „ფორმულას" ეთერებით გავრცელებული ინფორმაცია, ე.წ. „ქოლ-ცენტრების" საქმიანობასთან, თაღლითურ, კრიმინალურ თუ ფულის მოპარვის სქემებთან ან რაიმე სახის დანაშაულებრივ ჯგუფებთან გრიგოლ ლილუაშვილის კავშირის შესახებ, არის სრული სიცრუე და ცილისწამება.**

**აღნიშნული ცილისწამებლური ინფორმაციის გავრცელებით შეილახა და ზიანი მიადგა გრიგოლ ლილუაშვილის სახელს, ღირსებას და საქმიან რეპუტაციას. გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ტელეკომპანიების „მთავარი არხისა" და „ფორმულას", ასევე, ლევან ხაბეიშვილის მიმართ სასამართლოში წარდგენილია სარჩელი.**

**სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს: 1) იმ ფაქტების უარყოფა, რომელიც არის სრული სიცრუე და ცილისწამება; 2) მოპასუხეებისათვის ზიანის ანაზღაურების სახით სიმბოლურად 1 ლარის დაკისრება. განვმარტავთ, რომ საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების მხედველობაში მიღებით, სასამართლოში წარდგენილი გვაქვს არგუმენტირებული და დასაბუთებული სარჩელი. სარჩელის წარდგენის მიზანი კი არის ის, რომ საზოგადოებამ გაიგოს სიმართლე",** — ნათქვამია ადვოკატის განცხადებაში.



# თეა წულუკიანი: გახარია და მისი პოლიტიკური ძალა „ნაციონალური მოძრაობის" დანაყოფად იქცა!

**გახარია და მისი პოლიტიკური ძალა პრაქტიკულად „ნაციონალური მოძრაობის" დანაყოფად იქცა,** — ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა. მისივე თქმით, ეს ტრაგიკული სანახაობაა.

**„გვახსოვს, როგორ ემუქრებოდა გიორგი გახარია საპარლამენტო ტრიბუნიდან „ნაციონალურ მოძრაობას", მე თქვენ დაგამთავრებთო და შემდეგ ის და მისი პოლიტიკური ძალა პრაქტიკულად „ნაციონალური მოძრაობის" დანაყოფად იქცა, რადგან გიორგი გახარიას პოლიტიკურ ძალას ჯერ არ შესწევს უნარი, რომ „ნაციონალური მოძრაობა" გახადოს თავის დანაყოფად.**



**ეს, რა თქმა უნდა, უბრალოდ ტრაგიკული სანახაობაა. სხვა რა შეფასება შეიძლება გაკეთდეს, როდესაც ტოვებ საკუთარ გუნდს, გადადიხარ სხვა გუნდში და მასთან ერთად ებრძვი გუნდს, რომელიც დატოვა და რომლის სიის პირველი ნომერიც იყო",** — განაცხადა თეა წულუკიანმა.

# შალვა ნათელაშვილი ლაქლაქებს, საქმე აი იქვრის!..

**„ლეიბორისტული პარტია" პარლამენტში შედის,** — ამის შესახებ პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა პოლიტსაბჭოს სხდომის შემდეგ განაცხადა. პარტიის მიერ არჩევნებზე მოპოვებული ერთი მანდატით საკანონმდებლო ორგანოში ადგილს შალვა ნათელაშვილი დაიკავებს.



**„პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება „ლეიბორისტული პარტიის" პარლამენტში შესვლაზე. დღეს ეს იყო ერთადერთი სწორი სტრატეგია, რათა ჩვენ დავიწყოთ რეჟიმის ჩამოშლა, გავაგრძელოთ, გავაძლიეროთ მათ შორის საპარლამენტო ბერკეტების გამოყენებით. მას შემდეგ, რაც საყოველთაო ბოიკოტი ბოლომდე ვერ შედგა და არ გამოვიდა, მას შემდეგ, რაც სოციოლოგიური გამოკითხვებით მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოითხოვა „ლეიბორისტული პარტიის" პარლამენტში დაბრუნება, ჩვენ ვალდებული ვართ, გავითვალისწინოთ ეს რეალიები, აღნიშნული მოთხოვნები, ხალხის, ქვეყნის საჭიროება, ტკივილი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაშია იმ დაგროვილი პრობლემებით, რომელთა გადაწყვეტაც სწორედ პარლამენტიდან უნდა ხდებოდეს. მზად ვართ, შევეჭიდოთ ამ ფონს, რასაც ჰქვია ანტისახალხო კოალიცია თანამედროვე საპარლამენტო უმრავლესობის სახით. თუნდაც ერთი ვიყოთ, თუნდაც მარტო ვიყოთ, ისტორიის კანონებით, ერთსა და უმცირესობას შეუძლია სამყაროს შეცვლა და ჩვენ როგორ ვერ უნდა შევძლოთ, როცა ამდენი ვართ რეალურად გარეთ, იმ ლამაზი ქვეყნის ფეხზე დაყენება და წინ გატყორცნა, რომელიც აქამდეც იმსახურებდა აღნიშნულს, რომ არა მთელი ეს კასკადი დანაშაულებრივი პოლიტიკისა. ამ პოლიტიკის მსხვერპლი არამარტო დღევანდელობაა, არამედ რომ არ დაბადებულან, ისინიც კი გახდებიან. ამათგან დაქცეული ქვეყანა, ამათგან აღებული მილიარდიანი საგარეო ვალები იმ ჯერ არდაბადებულების გადასახდელი იქნება. იმისთვის, რომ დამთავრდეს ჟამიანობა, დაჩქარდეს რეჟიმის შეცვლა, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხმა იმ პარლამენტში შეიძლება, გამოდგეს ერთ-ერთი გადამწყვეტი. ამისთვის მე მზად ვარ, პარტია მზადაა, გავაკეთოთ ყველაფერი და თავი არ დავზოგოთ",** — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

შალვა ნათელაშვილი საკანონმდებლო ორგანოში სავარაუდოდ სამშაბათის პლენარულ სხდომაზე მივა. სწორედ მომავალ სასესიო კვირაში უნდა უყაროს პარლამენტმა კენჭი რამდენიმე დეპუტატისთვის, მათ შორის შალვა ნათელაშვილისთვის მანდატის შეწყვეტას. საკითხზე უკვე იმსჯელა პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა და მიიჩნია, რომ ნათელაშვილს სადეპუტატო უფლებამოსილება ვადაზე ადრე უნდა შეუწყდეს!..

# „მიშას შოუ" - უკრაინის ჰიმნი ამოტრიალებული დროშა და ფელინური სიუჟეალიზმი

**აბსოლუტურად გაუგებარი არსება მღეროდა უკრაინის ჰიმნს და თავდაყირა ეჭირა უკრაინის დროშა, ასეთი სიურეალიზმი ფელინის არც ერთ ფილმში არ მინახავს, ეს რაღაც განსაკუთრებული წვლილია ქართული პოლიტიკის მსოფლიო საგანძურში, ისევე როგორც ჰალსტუხის ჭამა და საგმირო მოქმედება გორში, მე ვფიქრობ, ეს არის საჩუქარი აბსურდების საგანძურში, რომლებიც მსოფლიოში არსებობს,** — ამის შესახებ რეჟისორმა გოგა ხაინდრავამ განაცხადა.

როგორც გოგა ხაინდრავამ აღნიშნა, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც რეალურად დგას რუსული საჯარისო ფორმირება და ყველაზე მეტი გონიერება მართებს ამ ქვეყანას.

**„გამძვინვარებულ ჰიბრიდულ ომს აწარმოებენ ქართული პროპაგანდისტული დაწესებულებები. ცდილობენ, ყველანაირად შეარყიონ, დაანგრიონ ეს ქვეყანა და ამით დემორალიზაცია გამოიწვიონ ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ნელ-ნელა საკუთარ თავს ვჭამთ. მთელ მსოფლიოში ვქმნით ისეთ სურათს, რომ ეს არის აბსოლუტურად დეგრადირებული ქვეყანა, რადგან ამდენი ჩივილი, რაც ჩვენ გვესმის მთელ მსოფლიოში საკუთარ ქვეყანაზე, საკუთარ ხალხზე, არის წარმოუდგენელი. მე ასეთი რამ არ გამიგია, საკუთარი ქვეყნის ჩაშვება, დასმენა არ გამიგია, ვგულისხმობ ყველას, ვინც ოპოზიციას ეძახის თავის თავს. ნაგავი, რომელიც აქედან იქით მიდის საქართველოზე, ილექება საკუთარ ქვეყანაზე, ჩვენს მომავალზე. მთავარი და ძირითადი რაც მინდა ვთქვა, არის ტყუილი, აღარ რცხვენია არავის აღარაფრის, ამის სიმბოლო არის გუბაზ სანიკიძე, მორალური დეგრადირების სიმბოლო. მიზანმიმართულად ხდება მორალის მოსპობა, რომ მერე გიული ალასანია გამოვიდეს და თქვას, რომ ბებიაჩემმა დამიტოვა პოლიტიკური უნივერსიტეტი, ბებიამისს დაუტოვებია მისთვის. უამრავი უძრავი ქონება აქვთ მოხვეჭილი და მოპარული სააკაშვილის ოჯახს, გაძარცვული აქვთ ეს ქვეყანა, ისევე როგორც კეზერაშვილს, ეს ფული არის წაღებული ცხინვალის რეგიონიდან გამოძევებული ადამიანების სისხლით და ოფლით. ეს არის რეალობა, ის აბსურდი, რომელსაც ვლაპარაკობდი და რომელშიც ცდილობენ, მთელი ეს ქვეყანა მოაქციონ, რათა შემდეგ ალასანია გამოვიდეს და თქვას, რომ ბებიამისმა დაუტოვა უნივერსიტეტი",** — განაცხადა ხაინდრავამ.

# მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო?!

## კოვიდით გათანგული ქვეყნის ეკონომიკა ლევან დავითაშვილმა ჩაიბარა გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა ოთარ შამუგიამ

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის ახალი მინისტრები წარადგინა. მთავრობის მეთაურის გადაწყვეტილებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად ვიცე-პრემიერი ლევან დავითაშვილი, ხოლო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრად ოთარ შამუგია დაინიშნა.



**„ლევან დავითაშვილს დიდი წარდგენა არ სჭირდება, ყველა კარგად იცნობს მას, მის საქმიანობას. ლევანი იყო გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის წარმატებული მინისტრი. იგი ბოლო 5 წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა სამინისტროს, ქვეყანას, თავის საქმეს და ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა ამ სამინისტროში. ლევანი დაინიშნა ეკონომიკის მინისტრად. იგი არის განათლებით ეკონომისტი, ძალიან კარგი განათლება, ცოდნა აქვს და ძალიან კარგი გამოცდილება აქვს დაგროვილი ახლა უკვე და მჯერა, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების წარმატებული მინისტრი იქნება. ამავდროულად, ლევანი არის ვიცე-პრემიერი და, რა თქმა უნდა, შეუნარჩუნდება ეს თანამდებობაც. რაც შეეხება ქალბატონ ნათია თურნავას, მინდა, ჩემი და მთავრობის სახელით, მადლობა ვუთხრა მას გაწეული სამსახურისთვის, ქალბატონი ნათია 3 წელი იყო მინისტრი. ძალიან მნიშვნელოვანი, ძალიან ბევრი საქმე გააკეთა სამინისტროში, ნათია იყო და არის ჩვენი გუნდის წევრი და რა თქმა უნდა, რჩება ჩვენი გუნდის წევრად. ნათიას აქვს თავისი გეგმები, თავისი ხედვები, თავისი სურვილი ამის თაობაზე თავად მოგახსენებთ მოგვიანებით. მინდა, მას მადლობა ვუთხრა კიდევ ერთხელ და წარმატება ვუსურვო,"** — აღნიშნა პრემიერმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზე მთავრობის მეთაურმა ოთარ შამუგია წარადგინა, რომელსაც სამინისტროში მუშაობის 16-წლიანი გამოცდილება აქვს და დეტალურად იცის, რა სჭირდება სოფლის მეურნეობას და გარემოს დაცვას.

**„რაც შეეხება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს, წარმოგიდგენთ ბატონ ოთარ შამუგიას, რომელიც მანამდე ლევან დავითაშვილის მოადგილე იყო. ბატონი ოთარის შესახებ მინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი ვუთხრა საზოგადოებას — ოთარი არის დევნილი სოხუმიდან. ის დაიბადა და გაიზარდა სოხუმში, ასევე სკოლა დაამთავრა სოხუმში. შემდეგ დევნილობაში ცხოვრობდა ზუგდიდში, თბილისში და თავისი კეთილსინდისიერი, პატიოსანი შრომით მიაღწია მინისტრობას. ოთარმა 16 წელი იმუშავა ამ სამინისტროში. მან დეტალურად იცის, თუ რა სჭირდება სოფლის მეურნეობას, გარემოს დაცვას და მჯერა, რომ ის წარმატებული მინისტრი იქნება. კიდევ ერთხელ ვუსურვებ წარმატებას ჩვენს მინისტრებს, ჩვენი მთავარი ამოცანა ახლა არის ეკონომიკის განვითარება, სიღარიბის დაძლევა, სამუშაო ადგილების შექმნა. ამ მიმართულებით მე ძალიან ბევრს ვმუშაობ ჩვენს ეკონომიკურ გუნდთან და ბევრ სიახლეს წარვუდგენთ საზოგადოება",** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

* * *

9 თებერვლიდან ახალი თანამდებობა ჩაიბარა ყოფილმა პარლამენტარმა და „ქართული ოცნების" გუნდის წევრმა **ოთარ დანელიამ.** ის ბიზნესომბუდსმენი გახდა.

# ომარ მარგველაშვილი:

# პოლიტიკოსებო, დაფიქრდით, ფიქრი ხომ ადამიანის მუდმივი თანამგზავრია!





(პირველი გვერდიდან)

**ხელისუფლებამ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება – პარლამენტის თავხედურად და დემონსტრაციულად დატოვების შემთხვევაში დეპუტატს უნდა შეუწყდეს უფლებამოსილება, იმუნიტეტი, ხელფასი და ყველა სხვა პრივილეგია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უმსგავსობა გაუთავებლად გაგრძელდება.**

ცოტა ხნის წინათ თქვენ უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის რუსეთის სალანძღავი რეზოლუციით შეცვლა მოინდომეთ. რუსეთი ჩვენი უახლოესი მეზობელია, მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სამხედრო ძალის და შთამბეჭდავი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოა. დიახ, ის აგრესორი და დამპყრობია, სწორედ ამიტომაა, რომ მთელი მსოფლიო ანგარიშს უწევს და მასთან კონფლიქტს ერიდება. ჩვენ კი აგერ უკვე 30 წელია მისი ლანძღვა-გინებით ვიქარვებთ ბოღმას. ჰოდა, განა რაიმე შედეგი გამოიღო ამ ჩვენმა უგუნურებამ? რა თქმა უნდა, არა! პირიქით, ბევრს ვზარალობთ (მარტო ბორდერიზაცია რად ღირს!).

ნაციონალებო, კარგად დაიმახსოვრეთ: უკრაინა საქართველოს კი არა, ის სააკაშვილის მეგობარია, სააკაშვილი კი შოუმენ ზელენსკის ძმაკაცია!

მადლობა ღმერთს, რომ „ქართული ოცნების" ძალისხმევით პარლამენტმა სწორედ ის რეზოლუცია მიიღო, რომელიც სჭირდება უკრაინელ ხალხს და არა ნაციონალებს. უკრაინას ებრაელები მართავენ, ისინი მთელი მოსახლეობის 0,2%-ია, მაგრამ რადაში – 43%, ხოლო მინისტრთა კაბინეტში – 62%, მთელ უკრაინაში უკრაინელები თითქმის 80%-ია, მაგრამ რადაში – 22%, მინისტრთა კაბინეტში კი – 15%.

ნაციონალებო, კაბინეტებში გიკიდიათ ჩვენი კლასიკოსების – ილიას, აკაკის, ვაჟას მშვენიერი პორტრეტები, თუმცა კი მათი არც ნაწარმოებები, არც წერილები, არც საუკუნეზე მეტი ხნის წინათ გამოთქმული მოსაზრებები რუსეთთან მიმართებაში არ წაგიკითხავთ! მეტიც, არც გაინტერესებთ!

საქართველოში მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში ჩვენი სანაქებო სტრატეგიული პარტნიორები თითს თითზე არ დააკარებენ და კიდევ სამარცხვინოდ შეშფოთდებიან და აღშფოთდებიან! მეტიც, არც ნატოს იმედი უნდა გვქონდეს. ის აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანებაა. ის ჩვენ არასდროს დაგვიცავს, როგორც ეს 2008 წელს მოხდა.

ნატოს წევრობასაც არ გვაღირსებენ – ნუთუ ეს კიდევ საკამათოა?!

რაც შეეხება შერიგებას, ამაზე ფიქრს თავი უნდა დავანებოთ, დროის კარგვა და წყლის ნაყვაა ყველაფერი. შერიგება განუხორციელებელი ილუზიაა.

**ნაცებო, თუ რუსეთის ლანძღვაგინებას გააგრძელებთ, ხელისუფლება კი თქვენს მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას კვლავაც გამოიჩენს, იცოდეთ, სამუდამოდ დავკარგავთ აფხაზეთსაც და სამაჩაბლოსაც, დავკარგავთ დამოუკიდებლობასაც, სუვერენიტეტსაც და, რაც მთავარია, ქვეყნის სხვა ტერიტორიებსაც – აჭარასა და მის მიმდებარე მხარეებს, ასევე ახალქალაქის, წალკის, ნინოწმინდისა და ახალციხის რაიონებს.**

საუკუნის წინ საქართველოს მაშინდელმა უდღეურმა მთავრობამ, როცა სამშობლო დატოვა და საფრანგეთში გადაიხვეწა, თან გაიყოლა 248 ყუთი განძეულობა ქვეყნის მუზეუმებიდან, რომელიც 10 მილიონ 471 770 ოქროს მანეთად იქნა შეფასებული. ამ უძვირფასესი ეროვნული განძიდან საქართველოში მხოლოდ 39 ყუთის დაბრუნება მოხერხდა, ისიც იოსებ სტალინისა და შარლ დე გოლის ერთობლივი ძალისხმევით. დანარჩენი 209 ყუთი კი, მენშევიკების უფუნქციო მთავრობის წევრებს შორის გაუთავებელი დავისა და კამათის შედეგად, გაიყიდა პირადი მოხმარებისთვის. ამიტომაც, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში არ ჩავიგდოთ თავი.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობას მსოფლიოში ანალოგი არა აქვს, ამ ურთიერთობაში ბევრი სიკეთეა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ, ამას კი დანახვა და სათანადო დაფასება უნდა.

**ქართველო პოლიტიკოსებო, უმორჩილესად გთხოვთ, ამაღლდეთ თქვენს პირად და პარტიულ ამბიციებზე – რუსეთის გალიზიანებით ჩვენი ქვეყნისთვის სასიკეთოს ვერაფერს ვერ მივაღწევთ.**

**გონს მოდით, თორემ თქვენი უსაქციელობით საქართველოს დაღუპავთ! თავს ნუ იბრმავებთ, განა ვერ ხედავთ, თუ როგორ თავხედურად ერევა საქართველოში აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი ჩვენს საგარეო და საშინაო საქმეებში... ფაქტობრივად, საქართველოს ის მართავს და არა თქვენ!**

უმორჩილესად გთხოვთ, დაფიქრდეთ ქვეყნის მართვის პრეტენზიის მქონენო: ფიქრი ხომ ადამიანის მუდმივი თანამგზავრია! იქნებ გადააფასოთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები და წინადადებები, რათა ყველანი ერთად ქვეყნის სწრაფი განვითარებისა და კეთილდღეობის სწორ გზას დავადგეთ, თორემ სულ მალე სამშობლო აღარ გვექნება!

იმისთვის, რომ ეს უდიდესი საფრთხე თავიდან ავირიდოთ და ქვეყანა აღმავლობის გზით წავიყვანოთ, საჭიროა ყველა გზით – როგორც პოლიტიკურით, ისე დიპლომატიურით, შევეცადოთ რუსეთთან კეთილმეზობლური, მეგობრული, თანაბარპარტნიორული ურთიერთობების დალაგებას. რუსეთი ასეთი ურთიერთობების დასამყარებლად „არც თუ ისე შორია". ისიც გაითვალისწინეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა დღევანდელი გაჭირვებული მდგომარეობიდან ვერ დაგვიხსნის.

ევროკავშირს ყოფილ საბჭოთა კავშირს შევადარებთ, მათ შორის ისეთივე მკაფიო და დამაღონებელი განსხვავებაა, როგორც ცასა და დედამიწას შორის. თუ გავიხსენებთ, საბჭოურ პერიოდში საქართველოში უმუშევრობა არ არსებობდა, ყველა შრომისუნარიანი მოქალაქე დასაქმებული იყო და საკუთარი ხელფასით ოჯახს არჩენდა, თანაც მაშინ რესპუბლიკაში 5,5 მილიონი მცხოვრები ვიყავით, ახლა კი მხოლოდ 3 მილიონიღა დავრჩით. ყოველდღიურად იცლება ქვეყანა შრომისუნარიანი კვალიფიციური კადრების უცხოეთში გადინებით, რის უმთავრესი მიზანი იქ ნაშოვნი ფულით საქართველოში დარჩენილი ოჯახების რჩენაა. სწორედ ამის გამოა, რომ უმუშევრობა ქვეყანაში თქვენი სტატისტიკით თითქოსდა მცირდება, მაგრამ ამით მაინც არავინ ტყუვდება.

**საქართველოში შობადობა კატასტროფულად მცირდება, თუმცა ისევ თქვენი სტატისტიკით შობადობა იზრდება – უცხოელი მუსლიმანებისა და სხვა ჯიშის და ჯილაგის შემოდინების ხარჯზე! ვის ატყუებთ, არ გრცხვენიათ?!**

სოფლის მეურნეობა და ეკოლოგია (დღეს უკვე ეკონომიკა) მინისტრის ლევან დავითაშვილის აზროვნების უმდაბლეს დონეზეა. განათლება, მეცნიერება საერთოდ არა გვაქვს ამ დარგების მინისტრების წყალობით.

ნაციონალებო, ყოველივე ამას გეუბნებათ ადამიანი, რომელსაც თითქმის ნახევარი საუკუნის გამოცდილება აქვს საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებთან ურთიერთობისა. ყველა უმნიშვნელოვანეს მატერიალურ, ტექნიკურ რესურსს და სამშენებლო მასალებს, ჩვენ ვიღებთ საკავშირო უწყებებიდან უსასყიდლოდ. განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სრულ დაფინანსებას საქართველო იღებდა საკავშირო ბიუჯეტიდან. ადგილობრივი ბიუჯეტით კი მხოლოდ ბინათმშენებლობის, განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის ობიექტები ფინანსდებოდა, მაგრამ ამ ობიექტების გარკვეულ ნაწილსაც საკავშირო ბიუჯეტი აფინანსებდა.

პოლიტიკაში მეგობარი ქვეყანა არ არსებობს, განსაკუთრებით სამეზობლოში. მეზობლები მუდამ ცდილობენ დაგამცირონ, დაგჩაგრონ, შელახონ შენი რეპუტაცია, წაგგლიჯონ მიწა-წყალი. მით უმეტეს ასეთი მტრები ულევად ჰყავს ისეთ უმშვენიერეს ქვეყანას, როგორიც საქართველოა – თავისი განსაკუთრებული ადგილმდებარეობით.

ქართველო პოლიტიკოსებო, ისტორიულად ისედაც გატანჯული ხალხი, ახალი გასაჭირისთვის ნუთუ არ გებრალებათ?! უძვირფასესი ტყეები რომ გვეწვოდა და ნადგურდებოდა, შემოთავაზებულ დახმარებაზე რუსეთს უარი ვუთხარით. განა ამას რაიმე გამართლება აქვს?

**საგანგებოდ მინდა მივმართო ბატონ ბიძინა ივანიშვილს: ვიცი, რომ თქვენ პრესას საერთოდ არ ეცნობით! ჩვენ ბევრი, სრულიად უყურადღებოდ და უპატრონოდ მიტოვებული, საკუთარი რედაქციებიდან გამოყრილი და თქვენი ყურადღების და მზრუნველობის მიღმა დარჩენილი პროფესიონალი ჟურნალისტი გვყავს, რომლებიც ჯერ კიდევ გადარჩენილ გაზეთებში მეტად საგულისხმო წერილებს აქვეყნებენ. ჩვენი პრესა პარლამენტი არ არის, სადაც ხმაურის, კინკლაობის, ურთიერთშეურაცხყოფის, უზრდელობის და თავხედობის მეტს, სამწუხაროდ, გონივრულს ბევრს ვერაფერს ვისმენთ. საკანონმდებლო ორგანო სალაყბოს დაემსგავსა! ხალხს ძალიან შეჯავრდა ტელევიზია, განსაკუთრებით ოპოზიციური არხები, მათი უზრდელი ჟურნალისტები და უგუნური დამფინანსებლები. თუკი სააკაშვილი ახერხებდა ნაცებისთვის მიუღებელი ტელეარხების ბარბაროსულად დარბევას ან სულაც, დახურვას, თქვენ ვერ მოახერხეთ ხალხისთვის მიუღებელი არხების ფუნქციონირების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. აბა, ამაზრზენი ნოდარიკო მელაძის ან ლევან ხაბეიშვილის ღნავილის მოსმენა შეიძლება?!**

**რატომ არ ჩამოართმევთ მიშას დედას უკანონოდ მითვისებულ უზარმაზარ ქონებას, გეშინიათ?!**

* * *

**ბატონო ბიძინა, არ მინდოდა ამ ჩახლართულ თემას შევხებოდი, მაგრამ უთქმელობაც არ შეიძლება. თქვენი და მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის სასამართლო დავას არავითარი გამართლება არა აქვს! კარგი ტემპით შენდებოდა, ძირითადად უცხოური ინვესტიციებით, გრანდიოზული პორტი ანაკლიაში. თქვენ ის შეაჩერეთ! არადა მას საქართველოს ეკონომიკისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა. თქვენ, ალბათ, არ იცით, თუ რას ნიშნავს მშენებარე ობიექტის შეჩერება – ესაა მისი დაღუპვა! მით უმეტეს, თუკი მისი სწრაფად და ხარისხიანად კონსერვაცია არ მოხდება. ანდა იცით კი ასეთ მასშტაბურ ობიექტს, ზღვის აკვატორიაში, რა კოლოსალური თანხები სჭირდება სრულყოფილი კონსერვაციისთვის? ნაცვლად იმისა, რომ კონსორციუმს დახმარებოდით და ხელი შეგეწყოთ ხაზარაძისა და ჯაფარიძისთვის!!! მათ, სრულიად ახალგაზრდებმა, დაუხმარებლად და დამოუკიდებლად შექმნეს უზარმაზარი წარმატებული ბიზნეს-იმპერია. განა რა მოიგო ქვეყანამ ანაკლიის პორტის მშენებლობის შეჩერებით?**

**პირადად მე, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ თქვენ და თქვენმა ერთგულმა მცირერიცხოვანმა გუნდმა უბრალოდ ამბიცია დაიკმაყოფილეთ. ქვეყანას კი ამბიციური მართვა სასიკეთოს არაფერს მოუტანს!**

ადამიანები ძირითად საქმიანობას ჩამოაშორეთ, უფუნქციოდ დატოვეთ! ფულის გათეთრებას ედავებოდნენ, თუმცა დაზარალებული არ არსებობდა, ამიტომაც ბოლოს გაამართლეს!

ხალხს აინტერესებს – მაინც რა მიზეზით შეაჩერეთ ეს უმნიშვნელოვანესი ობიექტი? უპასუხეთ ხალხს! დაფიქრდით და გაითვალისწინეთ, რომ თქვენი ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში ქვეყანა არ განვითარებულა, მოსახლეობის კეთილდღეობას კი არაფერი დამჩნევია.

**ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი კი, მაინც აშენდება – ეს საქართველოსა და ქართველ ხალხს სჭირდება!**

**ომარ მარგველაშვილი**




# რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ პუტინის ოლიგარქებს ფინანსური სანქციები არ აწყობთ!

**რუსეთის და საფრანგეთის პრეზიდენტების შეხვედრისკენ მთელი მსოფლიოს ყურადღება იყო მიპყრობილი. გრძელ, თეთრ მაგიდასთან მსხდომი ვლადიმერ პუტინი და ემანუელ მაკრონი პირისპირ საკმაოდ დიდხანს საუბრობდნენ.**

**შეხვედრის დასრულების შემდეგ, პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, რადგან მათ საზღვრებთან ალიანსის გაფართოება საფრთხეს წარმოადგენს.**

**„კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთით ახალი წევრების მიღების ხარჯზე, რადგან ნატოს შემდგომი გაფართოება ჩვენს საზღვრებთან საფრთხეს წარმოადგენს. ჩვენ არ მივდივართ ნატოსკენ, ნატო მოდის ჩვენსკენ. ამიტომ, იმის თქმა, რომ რუსეთი აგრესიულად იქცევა, საღ ლოგიკას არ შეესაბამება“,** — განაცხადა პუტინმა ფრანგ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ.

მან ასევე ისაუბრა ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე და აღნიშნა, რომ ნატოს წევრი ზოგიერთი ქვეყანა ეწინააღმდეგება საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღებას.

**„რაც შეეხება იმას, რომ ნატოს ზოგიერთი ქვეყანა ეწინააღმდეგება ალიანსში უკრაინის ან საქართველოს მიღებას, რა თქმა უნდა, ვიცით ამის შესახებ, არაერთხელ გვსმენია. მაქვს კითხვა: თუ ეს ასეა, რატომ მოაწერეს ხელი ამ ქვეყნებმა 2008 წელს ბუქარესტში დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ქვეყნებს ნატოში გაწევრიანების კარს უხსნიან?“**

თუ რატომ ეწინააღმდეგება პუტინი ნატოს აღმოსავლეთით გაფრთოვებას, ქართველი ანალიტიკოსები სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან.

**„რუსეთს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება იმიტომ არ სურს, რომ როდესაც ქვეყანა ნატოში შედის, იქ რუსეთის გავლენა მარტივად აღარ გავრცელდება. ასევე, შეიძლება არ უნდა, რომ ალიანსის გაფართოებით, საფრთხე დაინახონ. აი, ეს ორი მიზეზი შეიძლება დასახელდეს, თუ რატომ არ სურს პუტინს ნატოს გაფართოება,** — განუცხადა for.ge-ს **თორნიკე შარაშენიძემ.**

ანალიტიკოს **ლევან ალაფიშვილს** უჭირს ახსნა, თუ რატომ არ სურს ვლადიმერ პუტინს ნატოს გაფართოვება.

**„ვლადიმერ პუტინი მთლიანი რუსეთი არ არის, ვგულისხმობ მთლიან მოსახლეობას, ამიტომ რუსეთს რა უნდა, ჯერ კიდევ არავინ იცის. რუსეთის ავტორიტარ ხელისუფალს რა უნდა — ეს გასაგებია“...**

ანალიტიკოსი **ლევან ნიკოლეიშვილი** ვლადიმერ პუტინის განცხადებას გეოპოლიტიკური მიზნით ხსნის.

**„საქართველოსი თუ უკრაინის ნატოში გაწევრება აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ ეს რუსეთისთვის მუქარა იქნება. რუსეთს თავისი გეოპოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ინტერესები გააჩნია და ალიანსის გაფართოებას ყოველთვის ეწინააღმდეგება. ეს პირველი შემთხვევა არ არის, უბრალოდ, ამ სიტუაციაში ამის თქმა რამდენჯერმე მოუწია. ამის მიუხედავად, ყველა ის ქვეყანა, ვინც ნატოში გაწევრიანებას მოისურვებს, ეს მათი ნება-სურვილია და არა პუტინის. დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და მთავარია იმ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, რა კრიტერიუმებიც ნატოში გასაწევრიანებლად არის საჭირო“,** — გვითხრა **ლევან ნიკოლეიშვილმა.**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძის** განცხადებით, პუტინის ოლიგარქებს ფინანსური სანქციების დაწესება არ სურთ, ამიტომ რუსეთი სამხედრო ოპერაციებს მოერიდება.

**„პუტინი ეძებდა იმ საერთაშორისო ფორმატს, რომლითაც უკან დაიხევდა. იყო სპეკულაციები ერდოღანზე, ბაიდენზე, ნატოზე, ევროკავშირზე, მაგრამ ბოლოს პუტინმა მაკრონთან ურთიერთობის ფორმატი აირჩია. საფრანგეთი ამჟამად ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანაა და ამასთან პუტინმა აირჩია უკან დახევის სტრატეგია. ცხადია პუტინს, ისევე როგორც სამხედრო მანქანას, არ აწყობს არც საქართველოში და არც სხვაგან სამხედრო ოპერაციების გაჩაღება, რადგან პუტინი და მისი „კაგებეშნიკი“ ოლიგარქები ძალიან კარგად არიან, როგორც უცხოეთში, ასევე რუსეთში. ამიტომაც, მათ არ აწყობთ ფინანსური სანქციები და არ აწყობთ, რომ რამენაირად დაზიანდნენ. აქედან გამომდინარე, პუტინის ქმედებები განპირობებულია ძალიან პრაგმატულად და ფინანსურად კარგად გათვლილია. პუტინის ოლიგარქებს ფინანსური სანქციები არ აწყობთ. რასაკვირველია, რუსეთი ოკუპანტი და დამპყრობელი ქვეყანაა, მაგრამ ისინი იმ ზედმეტ ნაბიჯებს არ გადადგამენ, რომელიც მათ ფინანსურ ზიანს მოუტანს“,** — გვითხრა **გია აბაშიძემ.**

მოამზადა
**ქეთი გიორგაძემ**

# აშშ რუსეთს საქართველოდან ჯარების გაყვანისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს

**აშშ რუსეთს საქართველოდან ჯარების გაყვანისკენ კიდევ ერთხელ მოუწოდებს,** — ამის შესახებ „აქცენტს“ შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში განუცხადეს.

**„აქცენტი“** დაინტერესდა, რა დამოკიდებულება აქვს აშშ-ს ბრიტანეთ-პოლონეთ-უკრაინის ახალ ალიანსთან დაკავშირებით.

სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა **„აქცენტთან“** აღნიშნა, რომ აშშ მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინის ირგვლივ განვითარებული მოვლენების დეესკალაციისკენ მიმართულ „ნებისმიერ გულწრფელ ძალისხმევას“ და მან „შეერთებული შტატების მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ურყევი მხარდაჭერა“ კიდევ ერთხელ დაადასტურა.

**„ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს ვითარების დეესკალაციისკენ მიმართულ საერთაშორისო ძალისხმევას და მოლაპარაკებას, რომელიც ითვალისწინებს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დიპლომატიური გზით მოგვარებას. აშშ მზადყოფნას გამოთქვამს, მხარი დაუჭიროს პროგრესის მისაღწევად გაწეულ ნებისმიერ გულწრფელ ძალისხმევას. ამავდროულად, ჩვენ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში შევკრიბეთ მოკავშირეები და პარტნიორები უკრაინის საზღვრებთან რუსეთის სამხედრო წარმოდგენილობის გაზრდის საპასუხოდ. ჩვენ ერთიანი ვართ და მზად ვართ, მტკიცედ და ერთად ვუპასუხოთ ყველაფერს, რასაც რუსეთი გააკეთებს. ამასთან, შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. რუსეთი საქართველოში 2008 წელს შეიჭრა და მას შემდეგ საქართველოს ნაწილი ოკუპირებულია. ჩვენ მოვუწოდებთ რუსეთს, შეასრულოს საქართველოსთან 2008 წელს დადებული ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება და გაიყვანოს თავისი ძალები კონფლიქტამდელ პოზიციებზე“,** — აცხადებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი.



# რეგიონში აქტიური ბრიტანეთი და შანსი ახალი კავშირებისთვის

**ლონდონის, უკრაინის და პოლონეთის ჩართულობით დაანონსებული ახალი ფორმატისადმი ინტერესს პროცესით დაგულისყურებული ქართული აუდიტორიისთვის ახალი იმპულსი შესძინა რამდენიმე დღის წინ პოლონეთის პრეზიდენტის ხანმოკლე ვიზიტმა. სხვა დროსა და ვითარებაში მასში უჩვეულო არაფერი იქნებოდა, თუმცა სადღეისოდ მის მნიშვნელობას სწორედ რომ კონტექსტი აძლიერებს: უკრაინის უსაფრთხოების ირგვლივ კრემლის მიერ შექმნილი კრიზისი; დასავლეთის მცდელობა, დიალოგის პროცესში ჩართოს კრემლი; თავის მხრივ თბილისი ცდილობს, იმგვარად დაუჭიროს მხარი მეგობარ სახელმწიფოს, რომ არ „მიიპყროს“ ოკუპანტი სახელმწიფოს ყურადღება; უკრაინა კი გაერთიანებულ სამეფოსა და პოლონეთთან თანამშრომლობის ახალ ფორმატს ქმნის.**

მართალია, საქართველოსა და პოლონეთის პრეზიდენტების ერთობლივ ბრიფინგზე ამის შესახებ არაფერი თქმულა, თუმცა ანალიტიკოსთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ საუბარი ახალ ფორმატსაც შეეხებოდა და მოითხოვენ თბილისისგან აქტიურობას ამ და ზოგადად მინი-ალიანსების მიმართულებით (მხარდამჭერთა „მოძიება“ კი, მათ შორის, აღმოსავლეთ ევროპაშია შესაძლებელი.), ვიდრე ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნატოს წევრობით გახდება შესაძლებელი, მით უფრო, რომ ალიანსი მსგავს კავშირებს სეპარატიზმად არ აღიქვამს და ამას ნატოს შიგნით არსებული კავშირებიც მოწმობს. ცხადია, ამ კონკრეტულ ვითარებაში მიზიდულობის მთავარი ცენტრი გაერთიანებული სამეფოა, რომლის აქტიური როლიც აშკარად გამოიკვეთა უკრაინის უსაფრთხოების ირგვლივ კრემლის მიერ შექმნილი კრიზისის ფონზე რუსეთის შეკავების კონტექსტში.

ქართველ ექსპერტთა ნაწილი დარწმუნებულია, რომ თბილისმა უნდა ისარგებლოს მომენტით, რომ ბრიტანეთი აღარაა შეზღუდული საერთო ევროპული საგარეო პოლიტიკის ჩარჩოებით, იმუშაოს ინიციატივებზე და მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მისი ინტერესების ზრდას რეგიონში.

## როგორია ბრიტანეთის როლი რეგიონში?

**„გაერთიანებული სამეფო არის პასუხისმგებლიანი ერი, რომელსაც ესმის ღირებულებებისა და სუვერენიტეტის დაცვის მნიშვნელოვნება. გარდა ამისა, დიდ ბრიტანეთს, როგორც ნატოს წევრს, ეკისრება პასუხისმგებლობა, წვლილი შეიტანოს შავი ზღვის რეგიონში ალიანსის სამი ქვეყნის — თურქეთის, რუმინეთისა და ბულგარეთის კოლექტიურ უსაფრთხოებაში“,** — ამბობს „აქცენტთან“ ევროპაში აშშ-ის არმიის ყოფილი მეთაური, CEPA-ს (ევროპის პოლიტიკის ანალიტიკური ცენტრი) სტრატეგიული კვლევების კათედრის გამგე **ბენ ჰოჯესი.**

უკრაინაში აშშ-ის ყოფილი ელჩი, ატლანტიკური საბჭოს ევრაზიული ცენტრის დირექტორი **ჯონ ჰერბსტი** რუსეთის შეკავების კონტექსტში ბრიტანეთის როლს სამაგალითოს უწოდებს:

**„ტრადიციულად დიდი ბრიტანეთი ყოველთვის იყო ჩვენი უახლოესი მოკავშირე და ძლიერი აქტორი საერთაშორისო არენაზე. ჩემი აზრით, კრემლიდან წამოსული დაშინების მიმდინარე რაუნდში დიდი ბრიტანეთი სამაგალითო იყო. ჯერ კიდევ გაზაფხულზე დიდმა ბრიტანეთმა სამხედრო ხომალდი გაგზავნა შავ ზღვაში. ახლა უკრაინაში იარაღს გზავნის და უკრაინასთან და პოლონეთთან შეთანხმებას აფორმებს უსაფრთხოების შესახებ“.**

იხ. 8 გვ.




# თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომის თვალსაწიერი

**თბილისის მერიაში დედაქალაქის მთავრობის მორიგი სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ უკანონო მშენებლობების საკითხზე ყურადღება კიდევ ერთხელ გაამახვილა.**

მისი განცხადებით, უკანონო მშენებლობების პრობლემის მოსაგვარებლად, თბილისის მერია აღსრულების ეფექტიანობის გაუმჯობესებას პარლამენტის დახმარებით გეგმავს. კერძოდ, საუბარია იურიდიული სამსახურის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ჩაბარების მექანიზმის სრულყოფაზე, რათა არაკეთილსინდისიერმა მშენებელმა გადაწყვეტილების ჩაუბარებლობით, აღსრულების პროცესი არ შეაფერხოს.

**„ბოლო თვეების განმავლობაში, გვაქვს ერთი პრობლემა — მშენებლები, რომლებიც უკანონო საქმიანობას ეწევიან, ერთგვარ ხრიკს იყენებენ. კერძოდ, ზოგიერთი სამშენებლო კომპანია არ იბარებს მერიის იურიდიული სამსახურის გადაწყვეტილებას, ხოლო გადაწყვეტილების ჩაუბარებლობის გამო, ველარ იქმნება საფუძველი გადაწყვეტილების აღსრულებისთვის ან არ ხდება ვადების ათვლა. შესაბამისად, მინდა მივმართო ინიციატივით პარლამენტს, რათა იურიდიული სამსახურის გადაწყვეტილებების შემთხვევაშიც, გამოვიყენოთ ის მოდელი, რომელიც გამოიყენება მუნიციპალური ინსპექციის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, იურიდიული სამსახურის მიერ გამოცემული აქტის განთავსება მოხდეს ობიექტზე და ის ჩაითვალოს გამოქვეყნებულად და ჩაბარებულად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მშენებლის მიერ სამართლებრივი აქტის ჩაუბარებლობა ველარ შეაფერხებს აღსრულების პროცესს“,** — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძემ უკანონო მშენებლობების პრობლემის მოსაგვარებლად გატარებულ სხვა ღონისძიებებზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, არც ერთი უკანონო მშენებლობა რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. ამასთან, კახა კალაძემ უკანონო მშენებლობების გამო გამოწერილი ჯარიმების სტატისტიკა წარმოადგინა.

**„ოთხი წლის განმავლობაში, 4 200 სამართალდარღვევა გამოვავლინეთ და გამოვწერეთ 82 მლნ ლარის ოდენობის ჯარიმა, მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლების პერიოდში, 3 500 დარღვევა იქნა გამოვლენილი და მხოლოდ 11 მლნ ლარის ოდენობის ჯარიმა დაიწერა. 2014-2017 წლებში, 3 400 დარღვევა გამოვლინდა და დაიწერა 19 მლნ ლარის ოდენობის ჯარიმა. შესაბამისად, ქალაქში უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებით, კრიტიკას არ მივიღებთ. ყველა შესაძლო საშუალებას მივმართეთ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და მომავალშიც ამ მიმართულებით ყველაფერს გავაკეთებთ“,** — დასძინა თბილისის მერმა.

კახა კალაძემ თბილისის მერიის ჯანდაცვის პროგრამებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი „ტრანსპლანტაციის პროგრამის“ ფარგლებში, ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას კვლავ 70 000 ლარით დააფინანსებს.

**„მინდა, შევეხო ერთ ძალიან მნიშვნელოვან პროგრამას, რომელიც წელსაც დაფინანსდება — ეს არის ღვიძლის გადანერგვის პროგრამა. იცით, რომ თბილისის მერიის „ტრანსპლანტაციის პროგრამას“, თბილისის მთავრობაში ჩვენი გუნდის მოსვლის შემდეგ, ღვიძლის გადანერგვის კომპონენტი დაემატა. 2018 წლიდან დღემდე, საქართველოში ღვიძლის გადანერგვა უკვე დაუფინანსდა 34 მოქალაქეს, რაც 34 გადარჩენილ სიცოცხლეს ნიშნავს. მინდა, ამ ადამიანებს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო. თბილისის მერია ერთ მოქალაქეს ღვიძლის გადანერგვას თავდაპირველად, 60 ათასი ლარით უფინანსებდა, შემდეგ კი თანხა გავზარდეთ და 2019 წლიდან ერთი ბენეფიციარისთვის 70 ათასი ლარი გამოიყოფა.**

**ეს არის საკმაოდ ძვირადღირებული ოპერაცია, რომლის ღირებულება 120 000 ლარია, საიდანაც 70 000 ლარს დედაქალაქის მუნიციპალიტეტი აფინანსებს. აღნიშნული პროგრამით სარგებლობა თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეებს შეუძლიათ. გარდა ამისა, დედაქალაქის მერმა აღნიშნა, რომ „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა“, რომლის ბიუჯეტი 2015 წლის შემდეგ 12-ჯერ გაიზარდა, დღეისთვის, 1 375 ბავშვსა და მოზარდს ემსახურება.**

მისივე თქმით, ერთი ბენეფიციარის დასაფინანსებლად, წელიწადში 4 800 ლარია გათვალისწინებული და ყოველთვიურად, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განსაზღვრული კომპლექსური თერაპიის 20 სეანსი ფინანსდება.

მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მერიას ტაქსის რეფორმის მესამე ეტაპისთვის განსაზღვრული რეგულაციები ზაფხულის ბოლოსთვის ექნება მზად.

**„ტაქსის რეფორმის მესამე ეტაპთან დაკავშირებით შიდა სამუშაოები სრულდება. ასევე, ტაქსის მომსახურების გამწევი პირებისგან ვიღებთ ინფორმაციას მათი საჭიროებების შესახებ და ვაწვდით დეტალურ ინფორმაციას დაგეგმილ პროცესებთან დაკავშირებით. მესამე ეტაპის ამოქმედებისთვის მზად ვიქნებით ზაფხულის ბოლოსთვის“.**

დედაქალაქის მერმა ვიცე-მერს, ირაკლი ხმალაძეს დაავალა, მესამე ეტაპისთვის ტაქსის სერვისის გაწევისას, ავტობუსის ზოლში ავტომანქანის გაჩერებისა და მგზავრის აყვანის საკითხი იყოს გათვალისწინებული.

დედაქალაქის მერმა აქვე, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ახალ აბონემენტებზე ისაუბრა. მისი თქმით, დღეის მდგომარეობით, უკვე გაყიდულია 40 000 სამგზავრო აბონემენტი, რომელთა დიდი ნაწილი ერთთვიანი და ერთწლიანია. მისივე თქმით, თბილისის მერია სხვადასხვა მიმართულებით, მომავალშიც არაერთ სასარგებლო პროექტს განახორციელებს.

**„ვერანაირი თქვენი კრიტიკა ვერ შეაჩერებს ამ ყველაფერს. თქვენ ხართ ის ადამიანები, რომლებმაც ყველაზე დიდი ბოროტება ჩაიდინეთ — ქალაქს წაართვით ყველაზე მნიშვნელოვანი ტრანსპორტი — ტრამვაი, აყარეთ ლიანდაგები, გაყიდეთ, ჯართში ჩააბარეთ. არანაირი უფლება არ გაქვთ, ისაუბროთ საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სატრანსპორტო პოლიტიკაზე.**

* * *

**თბილისის მერმა მთავრობის სხდომაზე შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორად დავით ფაჩულია წარადგინა. დავით ფაჩულია 2020 წლიდან „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე იყო, ხოლო შემდეგ დირექტორის მოვალეობას ასრულებდა.**

კახა კალაძის განცხადებით, მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილება ახალ დირექტორს სამსახურის წინაშე არსებული მნიშვნელოვანი ამოცანების დაძლევაში დაეხმარება.



# რამაზ საყვარელიძე: დამნაშავეა ის, ვინც ადამიანებს ქონებას პარავს, მაგრამ ადამიანებს, ვინც სულიერებას, რწმენას პარავს, ის ათასჯერ უფრო დიდი დამნაშავეა

**სუს-ის ყოფილი უფროსი სოსო გოგაშვილი, რომელმაც თანამდებობა 2018 წლის აგვისტოში პანკისის ხეობაში მომხდარი სისხლიანი სპეცოპერაციის შემდეგ დატოვა, სკანდალში ეხვევა.**

**სწორედ სოსო გოგაშვილის სახელს უკავშირდება ეკლესიის და კონკრეტული სასულიერო პირების წინააღმდეგ დაწყებული ცილისმწამებლური კამპანია. მედია წერდა, რომ სწორედ სუს-ის ყოფილი უფროსი იდგა ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტის სერაფიმე ჯოჯუას წინააღმდეგ გამოთქმული ბრალდების უკან, რომელიც დროებით ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორე ჭუაძემ შეცვალა. ბრალდება საკმაოდ მძიმე იყო.**

**მიტროპოლიტს არასრულწლოვანზე სექსუალური ძალადობა ბრალდებოდა. მიტროპოლიტი ცილისწამების მსხვერპლი ისე გახდა, რომ ბრალდების დამადასტურებელი არავითარი მტკიცებულება არ არსებობდა. თუმცა, მეუფის წინააღმდეგ აგორებული ბრალდება ვერ დადასტურდა და 2017 წლის 11 ოქტომბრის სინოდის გადაწყვეტილებით, მიტროპოლიტი სერაფიმე ისევ გამწესდა მამათა მონასტერში და აღუდგა მღვდელმოქმედების უფლება. სუს-ის ყოფილი უფროსი თვითმმართველობის არჩევნების წინ პოლიტიკაში დაბრუნდა, მაშინ გადაწყვეტილება გოგაშვილმა იმით ახსნა, რომ 2012 წელს ჰქონდა ოცნება, რომ უკეთეს საქართველოში იცხოვრებდა, თუმცა ეს ოცნება „ქართულმა ოცნებამ“ დაუნგრია. მიუხედავად მცდელობისა, „სახალხო პარტიამ“ შედეგი ვერ დადო, მაგრამ ცდილობს, რომ პოლიტიკურ ველზე აქტიური იყოს. სუს-ის ყოფილი უფროსი, რომელიც ოპოზიციური არხებისთვის სასურველი რესპონდენტი გახდა, პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, ცდილობს, მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებები პოლიტიკური მოტივით დატვირთოს.**

**— ბატონო რამაზ, რამდენად მძიმეა, როდესაც ეკლესიის საქმიანობაში ერევა სუსი — შანტაჟით, დეზინფორმაციით ძალიან მძიმე ბრალდებას უყენებენ სასულიერო პირებს, მხოლოდ იმიტომ, რომ დაწინაურდეს მათთვის სასურველი სასულიერო პირი. რას ნიშნავს ეს ყოველივე და უნდა დაიწყოს თუ არა ამ თემის და არა მარტო ამ თემის გარშემო გამოძიება? ფაქტია, რომ უმძიმესი თემაა...**

— ნამდვილად, ადვილი თემა არ არის, მაგრამ არც მოულოდნელი არ არის. დასავლეთს რომ გადავხედოთ, ანალოგიური ბრალდებები იქ უამრავია და რომელი მართალია და რომელი მტყუანი, ჩვენ ამის მსაჯულები ვერ ვიქნებით. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სისტემა, რასაც საპატრიარქო ჰქვია, ძლიერი სისტემაა და ამიტომ ყველა ცდილობს, წესიერი თუ უწესო ხერხებით მოათავსოს საკუთარი ახლობელი ამ სისტემაში. სანამ ადამიანის გუნება არის ასეთი ვერაგული და ალბათ, დიდ ხანს იქნება, სამწუხაროდ, ასეთი მოვლენები გამორიცხული არ არის.

რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა იყოს გამოკვლეული ეს საქმე და ასევე აუცილებლად სასჯელი აყვანილი უნდა იქნას კვადრატში. რა თქმა უნდა, დამნაშავეა ის, ვინც ადამიანებს ქონებას ჰპარავს, მაგრამ ადამიანებს ვინც სულიერებას, რწმენას პარავს, ის ათასჯერ უფრო დიდი დამნაშავეა, იმიტომ რომ რწმენამოპარული მერე თავის ურწმუნებას გადასცემს შვილს, უკვე თაობებში ჩნდება ეს ბზარი. როდესაც ბრალს სდებს საეკლესიო პირს და მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც მას დანაშაული არ ჩაუდენია, სასჯელიც უნდა იყოს შესაბამისი.

**— როდესაც მთელი რიგი მღვდელმთავრების, მათ შორის პატრიარქის ახლო გარემოცვის დისკრედიტაცია ხდება და ირკვევა, რომ ამის უკან სუს-ის აწ უკვე ყოფილი მაღალჩინოსანი იდგა, ეს რას ამბობს?**

— ჯერჯერობით, ვერ ვიტყვი, რას ამბობს, იმიტომ რომ ადამიანის ნამუსს გააჩნია. შეიძლება სუს-ში შეაბიჯოს, უნამუსობის მოშველიებით გახდეს თანამდებობის პირი და მერე უკვე სუსი გამოიყენოს უნამუსობის ჩასადენად — ეს ერთი ხაზია, როცა პიროვნება არის დამნაშავე. შეიძლება, მეორე ხაზიც ვიგულისხმოთ — სახელმწიფოს აქვს ასეთი ტენდენცია და სახელმწიფო, როგორც მთლიანი სისტემა, თავის ამ ნაწილს რასაც სუსი ჰქვია, ავალებს ეკლესიის წინააღმდეგ გაატაროს ეს ხაზი. მე მაინც მგონია, რომ ამ შემთხვევაში პირად შემთხვევასთან გვაქვს საქმე.



სოსო გოგაშვილი

**— მეუფე სერაფიმეს წინააღმდეგ აგორებული ეს ბინძური კამპანია იმდენად მასშტაბური იყო, რომ აშკარად იკვეთებოდა კონკრეტული პირების დაინტერესება. ის განერიდა პროცესს, ერთი პერიოდი იყო საბერძნეთში, დღეს ისევ ბორჯომის ეპარქიაშია. მას აქვს კარგი კავშირები მოსკოვთან და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგან თავად აფხაზეთიდან არის. ხომ არ დადგა დრო, რომ ეს საქმე გახდეს გამოძიების საგანი, მით უმეტეს, რომ საქმე ეხება ყველაზე გავლენიან ინსტიტუტსს ეკლესიას და სინოდის წევრს?**

იხ. 9 გვ.



# „განჯის ჭიშკრის“ დავით გარეჯზე ჩანაცვლება კიდევ ერთი აბსურდია!

**აზერბაიჯანს განჯის ჭიშკრის დაბრუნება სურს. ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა აზერბაიჯანი თუჯისა და რკინისგან დამზადებული, ორნამენტებით შემკული იმ ჭიშკრის დაბრუნებას ითხოვს, რომელიც დავით აღმაშენებლის ვაჟმა დემეტრე პირველმა განჯის გალავანს შეხსნა და გელათს შესწირა. პირველად აზერბაიჯანელებმა 2007 წელს მოინდომეს განჯის კარის დაბრუნება, მაგრამ საქართველოს საპატრიარქო ამის წინააღმდეგ გამოვიდა.**

მოგვიანებით, უკვე 2012 წელს გახმიანდა ეს აზრი. მაშინ განჯის ჭიშკრის დაბრუნებაზე აზერბაიჯანელი მკვლევარი **იუნის ნასიბლი** ალაპარაკდა და 1139 წელს ქართველთა ჯარის მიერ სამხედრო ნადავლად წაღებული განჯის კარი მოითხოვა. სავარაუდოდ, ნასიბლი ამ მოთხოვნას დამოუკიდებლად არ გააჟღერებდა და მის უკან, დიდი ალბათობით, ოფიციალური ბაქო იდგა. იმ დროს საუბარი იყო ნაცვალგების პრინციპით დავით გარეჯის იმ მონაკვეთის დაბრუნებაზე, რომელიც ჩვენი სამონასტრო კომპლექსის ნაწილია, მაგრამ გასაბჭოების შემდეგ დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. სულ ბოლოს აზერბაიჯანის კულტურის მინისტრმა **ანარ კარიმოვმა** ადგილობრივ მედიასთან ისაუბრა საქართველოსთან მიმდინარე მოლაპარაკებებზე განჯის ჭიშკრის დაბრუნების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ განჯის ჭიშკრის ბედზე საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებთან ბოლო ვიზიტისას იმსჯელა. მანვე დასძინა, რომ სურს განჯის ჭიშკარი აზერბაიჯანს ოფიციალური მოლაპარაკებების გზით დაუბრუნდეს. თუმცა მოლაპარაკება რომ მარტივი არ არის, ესეც აღიარა. აზერბაიჯანის კულტურის მინისტრის განცხადებასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

დღეს განჯის ჭიშკარი გელათის მონასტერშია ჩამონტაჟებული და ზედ დემეტრე პირველის მიერ ქალაქ განჯაში ძლევამოსილად გალაშქრების დამამტკიცებელი, დაზიანებული ქართული წარწერაც ეტყობა. წარწერის მიხედვით, დემეტრე მეფეს ეს კარი მოუტანია „წელსა მეფობის... იგ: (13) ხ დასაბამითგან“... ანუ მართლაც 1138-1139 წლებში. აღნიშნული ჭიშკარი საინტერესოა იმითაც, რომ მისი სახელი არა მხოლოდ საქართველოს უკავშირდება 883 წლის განმავლობაში, არამედ მის შემქმნელად ქურთი ოსტატი მოიაზრება. ჭიშკარი ქურთული წარმოშობის დინასტიის შედადიანების წარმომადგენლის შაპურ პირველის ბრძანებით დაამზადა ოსტატმა **იბრაჰიმ იბნ ოსმანმა**.

აკადემიკოს **როინ მეტრეველის** შეფასებით, ისტორიულად ცნობილია, რომ თავის დროზე დავით აღმაშენებლის შვილმა, დემეტრე პირველმა, განჯელებზე გაიმარჯვა, განჯის კარი ჩამოიტანა და შესწირა გელათს. განჯის კარი ეს არის ჩვენი გამარჯვების გარკვეული სიმბოლო მუსლიმანურ სამყაროზე. რაც შეეხება ნაცვალგების პრინციპით განჯის ჭიშკრის გაცვლას დავით გარეჯის კონკრეტულ მონაკვეთზე, როინ მეტრეველი თვლის, რომ გარეჯი საქართველოშია და საქართველოს კუთვნილებაა. ამიტომ დავა დავით გარეჯის შესახებ აბსურდია, რადგან ისტორიულად ეს მხოლოდ დასაბუთებული კი არა, დამტკიცებულია.

**„პოლიტიკურად როგორც საჭირო იქნება, ისე უნდა გადაწყვიტოს ჩვენმა პოლიტიკურმა ელიტამ, მაგრამ თავისთავად დავით გარეჯთან მიმართებით რაღაც შეღავათები ნამეტანია. დავით გარეჯში მე-6 საუკუნიდან მიმდინარეობდა დიდი მოღვაწეობა. ქართველი მეფეები რომ გადადგებოდნენ, სწორედ დავით გარეჯში ბერ-მონაზვნებად მიდიოდნენ, მათ შორის, დემეტრე პირველიც, რომელიც დავით გარეჯში ბერად აღკვეცის შემდეგ დამიანე გახდა და „შენ ხარ ვენახი“ დაწერა. ასე რომ, დავით გარეჯი ქართული სავანეა. ამის რამესთან დაპირისპირება წარმოუდგენელია. რაც შეეხება განჯის ჭიშკრის საკითხს, მისი დაბრუნება-არდაბრუნება უნდა გადაწყვიტოს მთავრობამ ისე, როგორც საჭიროა“,** — აღნიშნა როინ მეტრეველმა.

თეოლოგ **ლევან აბაშიძეს** დავით გარეჯის სანაცვლოდ განჯის კარიბჭის გაცვლა არ მიაჩნია გონივრულად. მისი აზრით, როდესაც ძველ ამბებზეა ლაპარაკი, შეიძლება ასეთი ხელოვნების ნიმუშები დაბრუნდეს, ამგვარი კეთილი ნება თუ არის, მაგრამ ეს უკვე ისტორიაა.

**„მესმის, რომ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა კოლონიალიზმის დროს წამოღებულ კულტურის გარკვეულ ნიმუშებს აბრუნებს, მაგრამ ეს გასაგებია, რადგან მაშინ კოლონიალიზმის ეპოქა იყო და ადგილობრივ მოსახლეობას ევროპელები ზემოდან უყურებდნენ. 800 წლის წინ თუ განჯაში რაღაც მოხდა, ამის გადათამაშება არ მიმაჩნია სწორად. რაც არის ისტორია, ის არის. განჯის კარი დღეს საქართველოშია, რამდენი რამ, პირიქით, იქით არის, ზოგიერთი რამ ქართული კულტურის ისტორიიდან აზერბაიჯანშია, ყველაფერ ამის დაბრუნება აზრს კარგავს. ესეც ჩვენი ისტორიაა. შეიძლება, თბილისის კარი სადღაც სხვაგან იყოს, ამიტომ მე არ მიმაჩნია სწორად განჯის კარის გადაცემა, მით უმეტეს, დავით გარეჯის ტერიტორიაზე გაცვლა. ჯერ ერთი, განჯის ჭიშკარი არ არის მარტო აზერბაიჯანული კულტურის საკუთრება, ეს მსოფლიო კულტურის და ქართული კულტურის საკუთრებაა, ისევე როგორც ჩვენი ეკლესიები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ქართულ კულტურას ეკუთვნის და აზერბაიჯანის კულტურის ნაწილიცაა. ამიტომ არ მიმაჩნია სწორად დაბრუნება. დავით გარეჯის კონკრეტული მონაკვეთის გაცვლაზეც საუბარი საერთოდ ზედმეტია, საკუთარი ტერიტორიის ერთ გოჯსაც არავინ დათმობს. დავით გარეჯის შემთხვევაში, უბრალოდ, ლაპარაკია, რომ სამართლიანად გაივლოს საზღვარი, სამართლიანობა კი ნიშნავს მოლაპარაკების მიხედვით საზღვრის გავლებას“,** — აღნიშნა ლევან აბაშიძემ ჩვენთან საუბრისას.

შეკითხვის საპასუხოდ, გაგებით მოეკიდებიან თუ არა აზერბაიჯანელები, რომ განჯის კარს არ ვაბრუნებთ, თეოლოგმა განმარტა, რომ ისინი გაგებით უნდა მოეკიდონ ამ ფაქტს, რადგან განჯის კარი გელათში უკვე რამდენიმე საუკუნეა. ისტორიაში ცნობილია, რომ ნაპოლეონმა ცალკეული ექსპონატები გაიტაცა, მაგრამ არის რაღაც ნიმუშები, რაც შეიძინა საფრანგეთმა. თუ შეიძინა და ეს კანონიერი შეძენაა და არა ძალდატანებითი, მაშინ ველარ დაიბრუნებენ იტალიელები. ამიტომ აქ უნდა იყოს თანამედროვე მიდგომა. თუ უახლოეს დროში, ვთქვათ, მე-19 საუკუნეში მოხდა რომელიმე ნიმუშის გატანა-წამოღება, მისი დაბრუნება კიდევ გასაგები იქნებოდა, როგორც ახლა გერმანია უბრუნებს რომელიღაც აფრიკულ ქვეყანას მე-19 საუკუნის ბოლოს წამოღებულ ნიმუშებს.

**„გასაგებია, ეს კეთილი ნებაა, რადგან უსამართლოდ იყო აფრიკის ტერიტორია გაძარცვული, მაგრამ დემეტრე პირველის დროს წამოღებულ განჯის კარს რაც შეეხება, იმ პერიოდში განჯა საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაში იყო. ასეთნაირად თუ მივუდექით, ბერძნების კულტურის ნახევარი ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზეა, მაშინ ბერძნების კუთვნილებაც დასაბრუნებელია თურქეთის მხრიდან. ჩვენ უნდა ვიყოთ თანამედროვეები, უნდა ვთქვათ, რომ, კი ბატონო, ჩვენი საზღვრები ღიაა, მობრძანდით, ყოველთვის შეგიძლიათ გელათში მისვლა, მაგრამ განჯის კარი ჩვენი კულტურის ნაწილია, ისევე როგორც ჩვენი ეკლესია კახში დღევანდელი აზერბაიჯანის კულტურის ნაწილია. ხომ არ მოგვაქვს ჩვენ ქართული ეკლესიები, ფრესკები და ხატები უკან?“** — აცხადებს ლევან აბაშიძე.

დაბოლოს, ახლა უკვე საპატრიარქოს გადასაწყვეტია განჯის ჭიშკრის ბედი, რადგან ის ეკლესიის საკუთრებაა. ამდენად, სავარაუდოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქოს საკუთარი პოზიცია ექნება.

**არჩილ ნოზაძე**





**— ბატონო გიზო, პირდაპირ საქმით დავიწყოთ: ამ რამდენიმე დღის წინათ, „პლანეტა ფორტეს“ ჯიხურში თვალი მოვკარი „მწერლის გაზეთს“ (2021 წ. !6), რომლის ბოლო გვერდზე რედაქცია იუწყებოდა, რომ ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად ლიტერატურული კონკურსი ჩატარებულა და გულწრფელად მესიამოვნა, რომ გამარჯვებულთა ჩამონათვალში თქვენი სახელი და გვარიც ამოვიკითხე.**

თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად გვითხარით ამ კონკურსის თაობაზე.

— როგორც პრესა იტყობინებოდა, ეს პრემია შარშან დააარსა საქართველოს მწერალთა კავშირმა თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით. ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა ქართველ მწერალთა ძირითად ლიტერატურულ ორგანოში, 90 წლის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 2021 წლის 12 ნოემბერს, ხოლო კონკურსის შედეგები, როგორც თქვენც გაცნობიხართ, გამოაქვეყნა „მწერლის გაზეთმა“ ასეთი ტექსტით: „ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულები გახდნენ: საუკეთესო პოეტური ნაწარმოებისთვის — **ცირა შალაშვილი** და **დავით შემოქმედელი (ტაკიძე)**; საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისთვის — **ირაკლი ნადარეიშვილი** და **ირმა კეკელიძე**; საუკეთესო პოეტური თარგმანებისთვის: — ია **სულაბერიძე** და **მურმან თავდიშვილი**, საუკეთესო პროზაული თარგმანისთვის — **გიზო ზარნაძე** და **ნიკოლოზ შამუგია**. წლის რჩეული იუბილარის ნომინაციაში წარმოჩინდნენ **მანანა დუმბაძე და აკაკი დაუშვილი**“.

**— მორჩა? რატომ ასეთი „მშრალი“ ინფორმაცია?**

— არ ვიცი, სულ პატარა ცნობა იყო.

**— ჰო, მაგრამ, მომხდარა მართლაც შთამბეჭდავი, მნიშვნელოვანი ფაქტი: ქართულმა სახელმწიფომ, დღევანდელმა ხელისუფლებამ გამოიჩინა გონივრული ტაქტი — ობიექტურად შეაფასა ებრაული წარმომავლობის გამოჩენილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, აწ განსვენებული ჯემალ აჯიაშვილის წვლილი და წონადი დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად დააარსა ლიტერატურული პრემია!.. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ჩვენი, ასევე ისრაელის სახელმწიფო ორი უძველესი ერის შესანატრ კულტურულ თანამეგობრობას!**

— დიახ, ნამდვილად ასეა. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, 1916 წელს, თუ არ ვცდები, ქალაქ ამსტერდამში გაიმართა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთა თავყრილობა. დელეგატები გულისტკივილით აღნიშნავდნენ, რომ მათ ამ ქვეყნებში ყოველთვის და ყველგან ავიწროებდნენ და, ხშირად არბევდნენ კიდეც!..

და აი, ტრიბუნაზე ავიდა ცნობილი მწერლის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღვაწის გერცელ ბააზოვის მამა დავით

# ჯემალ აჯიაშვილის პრემია – ფაზილ ისკანდერის მთარგმნელს



ბააზოვი და, როგორც იტყვიან, ცამოწმენდილზე მეხის გავარდნასავით გაისმა მისი სიტყვები: ჩვენთან კი, კავკასიის ერთ პატარა ქვეყანა საქართველოში, ათეულობით საუკუნეთა განმავლობაში, ძმურად და მეგობრულად ვცხოვრობთ ქართველები და ებრაელები!..

**– ბატონო გიზო, როგორც იტყვიან, ეს ყოველივე ძალიან კარგია, მაგრამ თქვენ მაინც „გაგვიმხილეთ“, რომელი მწერლის რომელი ნაწარმოები თარგმნეთ და რომელი ენიდან?**

– ჰო, მე მაინც „გაგიმხელთ“ და ეს არა იმიტომ, რომ დანარჩენი კონკურსანტების ტექსტებს უგულებელვყოფ, არამედ, იმიტომ, რომ ისინი ჩემთვისაც უცნობია!.. ვიცნობ რა, ქალბატონ ცირა შალაშვილის მშვენიერ პოეზიას, დარწმუნებული ვარ, კონკურსზე წარდგენილი ნაწარმოებებიც გამორჩეული იქნება, მაგრამ სათაური მაინც მიეწოდებინათ მკითხველისთვის!..

**– მართალს ბრძანებთ, რა საჭირო იყო ასეთი მკაცრი კონფიდენციალურობა?!**

– ერთი სიტყვით, ჟიურის შემადგენლობა რომ უცნობია და არც უნდა გვცოდნოდა, სწორია, მაგრამ, ვინ რა თარგმნა ან დაწერა, გასაიდუმლოებული რატომ უნდა ყოფილიყო?!

მე ვთარგმნე გამოჩენილი აფხაზი მწერლის ფაზილ ისკანდერის შესანიშნავი მოთხრობა – „ჩემი ყოვლადკეთილი ბიძა“...

**– ანუ აფხაზურიდან რუსულად თარგმნილი გადმოაქართულეთ?**

– არა, ისკანდერი რუსულენოვანი, დედით აფხაზი მწერალი გახლდათ.

**– დღევანდელი ახალგაზრდობის გასაგონად, იქნებ მის შესახებ ორიოდე სიტყვით მოგვითხროთ...**

– ფაზილი დაბადებული იყო 1928 წელს, სოხუმში. გარდაიცვალა 2016 წელს, მოსკოვში, დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, იგი მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ: იყო პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, სცენარისტი, ჟურნალისტი... დაიბადა ირანელი ემიგრანტის აბდულა ისკანდერისა და აფხაზი ანიტა მიშელიას ოჯახში. მოგვიანებით მამამისი დაუბრუნდა ისტორიულ სამშობლოს და აფხაზეთში აღარასოდეს გამოჩენილა!!! ფაზილი თავიდანვე რუსულ სკოლაში სწავლობდა და ინსტიტუტშიც რუსულ სექტორზე ირიცხებოდა. თავიდან ლიტმუშაკად მუშაობდა სოხუმის საქალაქო გაზეთში და წარმატებულ ჟურნალისტადაც ითვლებოდა. იმავდროულად, ხშირად აქვეყნებდა მშვენიერ ლირიკულ ლექსებსაც.

ამის პარალელურად, თანდათან გამოიკვეთა მისი მოღვაწეობისა და პოლიტიკური მიზნის შეუთავსებლობა ზოგადად საბჭოურ და, კერძოდ, ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელთა იდეოლოგიასთან. განსაკუთრებით დაეძაბა ურთიერთობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ცნობილ მწერალ ბაგრატ შინკუბასთან, რის გამოც იძულებული გახდა, მოსკოვს გადაბარგებულიყო, სადაც მას უკვე კარგად იცნობდა და აფასებდა რუსეთის ლიტერატურული ელიტა. ფაზილი ევგენი ევტუშენკოსთან, ანდრეი ვოზნესენსკისთან, რობერტ როჟდესტვენსკისთან, ბელა ახმადულინასთან, ბულატ ოკუჯავასთან ერთად არალეგალური გამოცემის „მეტროპოლის“ დამფუძნებელი გახლდათ, გამოცემისა, რომელიც შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა...

**– თქვენ როდის დაგულისყურდით მისი შემოქმედებით?**

– 1969 წელს ვთარგმნე და გამომცემლობა „ნაკადულმა“ ცალკე წიგნად გამოსცა „წლის საუკეთესო მოთხრობა“, ფაზილ ისკანდერის „ხელჩხინკა“, რომელიც ჟურნალ „ნოვი მირის“ გამოკითხვის შედეგად, პირველ ადგილზე გავიდა. ამის შემდეგ, პერიოდულად ვთარგმნიდი ხოლმე ისკანდერის ნაწარმოებებს და, თუ შეიძლება ითქვას, გაიბა ჩვენს შორის მეგობრული და შემოქმედებითი კავშირი. ერთმანეთს ვხვდებოდით როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში. რამდენჯერმე მოვამზადე და ეთერში გადაიცა ისკანდერის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სატელევიზიო გადაცემა. 2012 წელს ისკანდერი წარადგინეს ნობელის პრემიაზე!.. 2014 წელს გადავწყვიტე, მისი მოთხრობების თარგმანი შემეთავაზებინა იმდროინდელი კულტურის მინისტრის, ბატონ გურამ ოდიშარიასთვის, იმ მოტივით, რომ კრებულის მთელი ტირაჟი უსასყიდლოდ გადაეცათ აფხაზეთის მოსახლეობისთვის. ბატონმა გურამმა გულთან ახლოს მიიტანა ეს იდეა, გამზადდა ხელშეკრულება, შედგა ხარჯთაღრიცხვაც და დღე-დღეზე რომ ველოდი წიგნის დასტამბვას, სწორედ ამ დროს მინისტრი გაათავისუფლეს თანამდებობიდან და პრემიერ-მინისტრის მრჩევლად დანიშნეს... როგორც მსგავს შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, ახლადდანიშნულმა კულტურის მინისტრმა პროექტს ჯვარი დაუსვა. მე კი, ეტყობა, გულუბრყვილოდ მეჩვენებოდა, რომ ეს იქნებოდა ჩვენი სახალხო დიპლომატიის მომგებიანი პოლიტიკური ნაბიჯი!..

**– დასანანია, რომ ვერ განხორციელდა თქვენი ეს მართლაც მშვენიერი პროექტი, მაგრამ იქნებ აწი მაინც დაინტერესდეს რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაცია ან კერძო პირი და, ბოლოს და ბოლოს, ეღირსოს მზის შუქი ამ წიგნს...**

– ღმერთმა გისმინოთ!

**– კიდევ ერთი კითხვა: – რამდენად ახლოს იცნობდა ფაზილ ისკანდერი ქართულ მწერლობას?**

– მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში ფაზილმა აღიარა, რომ ღრმად მცოდნე ვერ არის ქართული ლიტერატურისა, თუმცაღა ხაზგასმით თქვა: – ქართველი კლასიკოსებიდან ყველაზე გამორჩეულად ნიკოლოზ ბარათაშვილი მიმაჩნია და მას ვაიგივებ მეორე გენიოსთან, მიხეილ ლერმონტოვთანო!.. თანამედროვე მწერლებიდან გამოარჩევდა ჭაბუა ამირეჯიბს. მშვენივრად იცნობდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და, ამასთან დაკავშირებით, ღიმილით იგონებდა ერთ ამბავს: ბავშვობაში მეტისმეტად ზოზინა და მოუქნელი ვიყავი, ჭამა და განცხრომით ყოფნა მიყვარდა და, ამის გამო სოხუმელი ბიჭები ლუარსაბ თათქარიძეს მეძახდნენო!..

**გმადლობთ, ბატონო გიზო... კიდევ ერთხელ გილოცავთ ლიტერატურულ პრემიას!**

ესაუბრა
**რუსუდან ქოზულია**

ახლა კი მოვუსმინოთ ფაზილ ისკანდერს, ანუ ამონარიდი მისი ვრცელი მოთხრობიდან – „ჩემი ყოვლადკეთილი ბიძა“.

## ჩემი ყოვლად კეთილი ბიძა

როდესაც ჩვენუბნელი ბიჭები თავიანთი სახელოვანი ნათესავებით ტრაბახს მოჰყვებოდნენ, ვდუმდი და მოსაუბრეს ვუსმენდი ხოლმე.

სამხედრო ნათესავები უმაღლეს კატეგორიაში გადიოდნენ; თუმცა, სამხედროთა შორისაც იყო განსაკუთრებული, ბავშვური წარმოსახვით ნაკარნახევი სუბორდინაცია. პირველი ადგილი მესაზღვრეებს ეთმობოდათ, მეორე – მფრინავებს, მესამე – ტანკისტებს და ა.შ., მხოლოდ მეხანძრეებისთვის არ არსებობდა კონკურსი.

მაშინ ომი ჯერ კიდევ არ იყო და, ჩემდა სავალალოდ, არც ერთი სამხედრო ნათესავი არ მყავდა. მიუხედავად ამისა, მე მაინც მქონდა ჩემი კოზირი, რომელსაც საკმაო წარმატებით ვიყენებდი...

– ბიძაჩემი კი გიჟია! – ვამბობდი მშვიდად და ჩემი ამხანაგების მეტისმეტად რეალურ გმირებს დროებით ჩრდილში ვტოვებდი. გიჟი ეს ხომ უჩვეულო და თითქმის ხელმიუწვდომი რამ არის! თუ კარგად ისწავლი, მფრინავიც შეიძლება გახდე და მესაზღვრეცო, გვმოძღვრავდნენ უფროსები და მათ, რასაკვირველია, იცოდნენ, ხურმა რა ხილიც გახლდათ! მაგრამ გიჟი ვერ გახდები, სულ ხუთოსანიც რომ იყო, თუ, რა თქმა უნდა, მარტო სწავლას არ გადაყვები. თანაც, კოჭებში გვეტყობოდა, რომ ამ მხრივ, საფრთხე ნამდვილად არ გვემუქრებოდა. ერთი სიტყვით, გიჟი ან უნდა დაიბადო, ან ბავშვობაში ლაზათიანად დაეცე, ან მენინგიტით დაავადდე...

– ნამდვილი გიჟია? – უნდობლად მკითხავდა ხოლმე რომელიმე ბიჭი.

– რა თქმა უნდა! – მივუგებდი უმალვე, რადგან წინასწარვე ველოდი ამ შეკითხვას, – ცნობებიც აქვს, პროფესორებმაც შეამოწმეს.

ცნობები მართლაც გვქონდა. ბიცოლაჩემს ეწყო საკერავ მანქანაში.

– მერე, რატომ საგიჟეთში არ მოათავსებთ?

– ბებიაჩემი არ უშვებს.

– ღამღამობით არ გეშინიათ მისი?

– არა, მივეჩვიეთ, – ექსკურსიის მძღოლივით დინჯად მივუგებდი და შემდეგ კითხვებს ველოდი. ხანდახან სულელურ კითხვებსაც მისვამდნენ, მაგალითად, ხომ არ იკბინებაო, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი.

– ისე, შენც ხომ არ აფრენ ცოტას? – გამომცდელად მეკითხებოდა მეორე და გამსჭვალავი თვალებით მაკვირდებოდა.



– კი, ცოტათი მეც წავიგიჟიანებ, – ვამბობდი ღირსეული თავმდაბლობით.

– საინტერესოა, ფრან-გუტი მოერევა თუ გიჟი? – წამოიძახებდა ვინმე და წამსვე წამოაყენებდნენ ათობით საინტერესო ვარაუდს. ფრან-გუტი შაპიტოს მომთაბარე ცირკის სახელგანთქმული მოჭიდავე გახლდათ. ზანგი იყო და ამიტომაც ყველანი მისი გულშემატკივრები ვიყავით.

ბიძაჩემი ჩვენი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა ბიცოლაჩემის, ბებიაჩემისა და სხვა ნათესავების გარემოცვაში. არსებობდა ორი საგვარეულო ვერსია, რომლებიც ბიძაჩემის არანორმალურობას ხსნიდა. პირველი ვერსიით, ისე გამოდიოდა, თითქოს ყველაფერი ბავშვობაში, ავადმყოფობის შემდეგ მოსვლოდეს. ეს უინტერესო და ამიტომ ნაკლებდამაჯერებელიც იყო. მეორეთი კი (ამ ვერსიას ბიცოლაჩემი ისეთი თავგამოდებით ავრცელებდა, რომ ბოლოს და ბოლოს, დაჯაბნა ბებიაჩემის ვერსია). ირკვეოდა, რომ იგი ყმაწვილკაცობაში არაბული ტაიჭიდან გადმოვარდნილიყო.

ბიცოლაჩემს რატომღაც ეხამუშებოდა, როდესაც ბიძაჩემს გიჟად იხსენიებდნენ, – გიჟი კი არა, სულით ავადმყოფიაო, – იტყოდა ხოლმე.

„სულით ავადმყოფი“ ლამაზად, მაგრამ მაინც გაუგებრად ჟღერდა. საერთოდ, ბიცოლაჩემს უყვარდა სინამდვილის შელამაზება, რასაც, ნაწილობრივ, კიდევაც ახერხებდა. მიუხედავად ამისა, ბიძაჩემი ნამდვილი გიჟი, თუმცა, თითქმის ნორმალურიც იყო.

რჩოლით არავის ერჩოდა. ჩამოჯდებოდა ხოლმე თავის მერხზე და თავისსავე შეთხზულ სიმღერებს ღიღინებდა. ძირითადად ეს უსიტყვო რომანსები გახლდათ.

მართალია, ხანდახან წამოუვლიდა ხოლმე – რაღაც ძველი წყენა თუ სატკივარი ახსენდებოდა, მეორე სართულის გრძელ დერეფანში გარბი-გამორბოდა და კარს აჯახუნებდა. ამ დროს უმჯობესი იყო თვალში არ მოხვედროდით. იქნებ არაფერიც არ დაეშავებინა, მაგრამ მაინც ასე სჯობდა. ბებიაჩემი თუ იყო, შინ, მოგეცათ ლხენა, უმალვე მოჰყავდა ჭკუაზე – გადაუკეცავდა პერანგის საყელოს და უცერემონიოდ შეაყუდებინებდა თავს ონკანქვეშ. როგორც კი ცივი წყლით საკმაოდ გაილუმპებოდა, უმალვე დაშოშმინდებოდა და ჩაის მიუჯდებოდა ხოლმე.

ბიძაჩემს ახლანდელი სასიმღერო ლექსების მთხზველი პოეტებივით; ღარიბი ლექსიკა ჰქონდა. მეორეკლასელმა ბავშვმაც იცის ყველა ის სიტყვა, საუბარში რომ იყენებდა. თუმცა, ზოგჯერ, ისეთ რამესაც გამოთქვამდა, ნამდვილად რომ ვერ ნახავთ მეორეკლასელის რვეულში, რვეულში კი არადა, წიგნშიაც ვერ შეხვდებით. ასეთ სიტყვებს, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, უდიდესი სულიერი აღმავლობის წუთებში ხმარობდა. მათგან მხოლოდ ერთი ფრაზის შეკოწიწება შეიძლებოდა: „გავგუდავ დედაჩემს“!..

ძირითადად, აფხაზურად ლაპარაკობდა, გინებით კი ორ ენაზე იგინებოდა – რუსულად და თურქულად. ეტყობა, ის საგინებელი სიტყვები მეხსიერებაში განსაკუთრებული სიმწვავის გამოისობით ჩაეჭედა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსები და თურქები განრისხების ჟამს ერთნაირი ემოციური დატვირთვის სიტყვებს იყენებენ...

თარგმნა
**გიზო ზარნაძე**



# რას გვემუქრებიან აფხაზეთში რუსი სამხედროები, რომლებიც იქ თურმე, „არ არიან“?!

**„სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, სადაც რუსი სამხედროები არ არიან, მაგრამ ცხოვრობენ რუსეთის მოქალაქეები“,** — განაცხადა 2 თებერვალს რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვლადიმირ ჯაბაროვმა ე.წ. უსაფრთხოების გარანტიების შესახებ რუსეთის „ინიციატივებზე“ აშშ-ისა და ნატოს პასუხის, კერძოდ უკრაინიდან, მოლდოვადან და საქართველოდან რუსული ჯარის გაყვანის მოთხოვნის კომენტირებისას.

**უნდა აღინიშნოს, რომ ამ განცხადებით რუსეთის სენატორმა ბევრი გააოცა, მათ შორის — სოხუმშიც. თუკი მას მართლაც ის ჰქონდა მხედველობაში, რაც ბრძანა, ჯაბაროვს ჰმართებს, სამომავლოდ მაინც იქონიოს მხედველობაში, რომ 2009 წლიდან აფხაზეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების მე-7 გაერთიანებული სამხედრო ბაზაა დისლოცირებული, სამხრეთ ოსეთში — მე-4, თითოეული კონტინგენტის რიცხოვნობა დაახლოებით 4000-ს შეადგენს და სწორედ ფედერაციის საბჭომ მოახდინა 2011 წელს „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ“ იმ შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც ამ რესპუბლიკებში მათ 49-წლიან ყოფნას განსაზღვრავს 15-15-წლიანი პერიოდებით ავტომატური გახანგრძლივების შესაძლებლობით.**

**მეტიც, ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის გათვითცნობიერებულ წევრს ჰმართებს იცოდეს ისიც, რომ რუსი სამხედროები არა მარტო იმყოფებიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, არამედ ბატონ-პატრონებივითაც იქცევიან. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ძირითადი კანონი — უზენაესი ნორმატიული აქტი მის მოქალაქეებს სხვა უფლებებთან ერთად შეუზღუდავი გადაადგილების თავისუფლებასაც ანიჭებს, რეალობაში ყველაფერი სხვაგვარად ხდება.**

რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის მოქალაქეები პირველად წააწყდნენ ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში შესვლის აკრძალვას და გადაადგილების თავისუფლებას მათ სწორედ რუსი სამხედროები უზღუდავენ. ამასთან, საუბარია არა რაიმე სტრატეგიულ ობიექტზე, არამედ ჩვეულებრივ სოფლებზე, ადგილობრივთა საცხოვრებელ სახლებზე, რომლისკენაც გზას რუსეთის სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურეები ულობავენ.

იყო, მაგალითად, დრო, როცა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კოდორის ხეობაში შესვლას მხოლოდ აფხაზური სპეცსამსახურების წარმომადგენლები აკონტროლებდნენ. შესასვლელში განთავსებული იყო საკონტროლო-გამშვები პუნქტი, რომელიც ყოველწლიურად მოდერნიზდებოდა და ორიოდ წელიწადში სრულფასოვან ბლოკ-საგუშაგოდ გადაიქცა. ტერიტორიაზე მოხვედრა მხოლოდ აფხაზეთის უშიშროების სამსახურის ნებართვით იყო შესაძლებელი, რომელიც ხანგრძლივი შემოწმების შემდეგ შემსვლელ მოქალაქეზე საშვს გასცემდა. თუმცა გარკვეული დროიდან იქ რუსი სამხედროები დადგნენ და ხეობაში მოხვედრა უკიდურესად გართულდა, რიგითი მოქალაქისთვის კი შეუძლებლად იქცა. დიახ, საშვს კვლავინდებურად აფხაზური უშიშროების სამსახური გასცემს, მაგრამ შემოწმებას უკვე რუსები აწარმოებენ და სწორედ ისინი წყვეტენ, ვისთვის შეიძლება და ვისთვის არა კოდორის ნაკრძალში მოხვედრა.

ანალოგიური ვითარებაა გალის რაიონში. იმ სხვაობით, რომ იქაური ბლოკ-საგუშაგოები მიტოვებულ გაჩერებებს ჰგავს, საიდანაც მოულოდნელად ჩნდებიან სამხედროფორმიანი შეიარაღებული ადამიანები, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ითხოვენ მგზავრებისა და ქვეითად მოსიარულეებისგან პასპორტებს და თუ რომელიმეს საბუთი თან არ აღმოაჩნდა, გზის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ. ამასთანავე, ისინი გულდასმით ამოწმებენ სატრანსპორტო საშუალებებს, ბარგს, ხელჩანთებსა და პირად ნივთებსაც კი. იმის დადგენას, თუ რა უფლებით სჩადიან ისინი ამას, ვერ მოახერხებთ, ხოლო თუ კითხვებს განსაკუთრებული დაჟინებით დასვამთ, გაგკოჭავენ და წაგიყვანენ გაურკვეველი მიმართულებით. ამიტომაა, რომ ადამიანები რუსი სამხედროების თვითნებობის საკითხზე, როგორც წესი, დუმან — პრობლემების ეშინიათ.

მსგავსი ვითარებაა აფხაზეთის არაერთ სხვა რაიონშიც, სადაც რუსი სამხედროები აფხაზური მიწების ბატონ-პატრონებივით იქცევიან. მათ წინააღმდეგ ვერას გახდებით, ხოლო თუ გაბედავთ და საქმეში გავლენიან პირებსა თუ ორგანიზაციებს ჩართავთ, ზედმეტი ხმაურის თავიდან ასაცილებლად გაგიშვებენ, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით: რუსული ФСБ-ს დაჟინებული მეთვალყურეობით აფხაზეთის ნებისმიერ წერტილში აღმოჩნდებით.

**„როცა პირველად გადავაწყდი რუს სამხედროებს, რომლებიც საბუთებს გვთხოვდნენ, ცოტა არ იყოს, გავოგნდი. დასთან მივდიოდი — აფხაზეთის მოქალაქე აფხაზეთისვე ტერიტორიაზე, ისინი კი მაჩერებენ, როგორც ვიღაც დამნაშავეს!“,** — აღშფოთებული გვიყვება ჩვენი რესპონდენტი აინარი.

მამაკაცის მიერ მსგავსი ქმედებების უკანონობის შესახებ მოყვანილმა არგუმენტებმა ვერავითარი შედეგი ვერ გამოიღო.

**„იმის გამო, რომ თან პასპორტი არ მქონდა, სამხედროებმა უკან — გაგრაში გამაბრუნეს. ვინ მისცათ უფლება, გადამიწყვიტონ, როდის და სად ვიარო ჩემი ქვეყნის ტერიტორიაზე?! ახლა რა, უპასპორტოდ სახლიდან ცხვირს ვეღარ გავყოფთ? რაშია საქმე, სამხედრო მდგომარეობა გვაქვს, თუ რა ხდება?!“,** — ამბობს აინარი.

ადგილობრივი ახალგაზრდა ქალი — სარია კიდევ უარეს დღეში აღმოჩნდა. წებელდის მიდამოებში რუს სამხედროებთან შეხვედრას ის დღემდე ღამის კოშმარივით იხსენებს. ქალმა 10 საათი გაატარა ახლომდებარე რუსულ ბაზაზე, ერთ-ერთ საკანში, სადაც ის თავზე ტომარაჩამოცმული გადაიყვანეს.

**„სოხუმის ბაზარში წავედი საყიდლებზე, პასპორტის წაღება დამავიწყდა, დაბრუნებისას კი რუსებს გადავაწყდი. სამხედროებმა ტერიტორიის დატოვება მომთხოვეს — აქაოდა, უპასპორტოდ სახლისკენ ვერ გაგიშვებთო. შევთავაზე, ჩანთებს დაგიტოვებთ, მივირბენ, პასპორტს წამოვიღებ და მოგიტანთ-მეთქი, მაგრამ არაო. ხოლო მას შემდეგ, რაც ტერიტორიის დატოვებაზე უარი განვაცხადე, გამკოჭეს, მიწაზე დამაგორეს, თავზე რაღაც ტომარა ჩამომაცვეს და მანქანაში ჩამაგდეს. ტომარა მომხსნეს ოთახში, რომელშიც მხოლოდ მაგიდა და სკამი იდგა, კუთხეში კი — სათლი. იმ ოთახში 10 საათზე მეტი გავატარე, რის შემდეგაც ისევ ტომარაჩამოცმული წებელდაში დამაბრუნეს. როცა მიშვებდნენ, გამაფრთხილეს, “უპასპორტოდ აღარ გამოგიჭიროთ — შემდეგ ჯერზე ასე ადვილად ვეღარ გამოძვრებიო“,** — ყვება სარია.

თუ განაპირა სოფლებში ხალხს გაესაუბრებით, უამრავ მსგავს ისტორიას მოისმენთ. თუმცა დაზარალებულები ოფიციალურად არავის მიმართავენ — თვლიან, რომ აზრი არა აქვს.

**„აფხაზეთის ხელისუფლება ვერაფერს იზამს, რადგან სოფლების უმრავლესობა რუსი სამხედროებისთვის ხარკადაა გადაცემული და ისინიც ადგილობრივებს საკუთარ პირობებს უწესებენ. ისინი არიან აქ მეპატრონეები და ჩვენ გამო მათთან ურთიერთობებს არავინ დაიძაბავს. ვართ ასე, ვცდილობთ, რუსებს ზედმეტად არ მოვხვდეთ თვალში. ვინ იცის, კიდევ რა მოუვათ თავში? შემდეგ ჯერზე შესაძლოა, პასპორტის ნაცვლად რაიმე სხვა დოკუმენტი მოითხოვონ და თუ არ აღმოგვაჩნდება, მშვიდობით, სახლო, ოჯახო, ნათესავებო“,** — ამბობს სარია.

ჩვენი კიდევ ერთი თანამოსაუბრის — ემზარის თქმით, ვითარება იმდენად დამძიმდა, რომ „რუსეთმა შეიძლება, ნებისმიერ დროს მიმართოს თავისი ჯარი ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ“. „ისინი აქ ათასობით არიან. გააჩნიათ იმის უფლება, რომ იარაღი გამოიყენონ და ამისთვის პასუხს არავინ აგებინებთ. ერთი ბრძანება მოსკოვიდან — და ყველას სახლებში გამოგვამწყვდევენ“, — დარწმუნებულია ახალგაზრდა.

**აფხაზეთის კონსტიტუციაში, რომელსაც მის ტერიტორიაზე უზენაესი იურიდიული ძალა აქვს, კვლავინდებურადაა გამყარებული მოქალაქეთა ყველა უფლება და თავისუფლება, მაგრამ რეალობაში, რუს სამხედროებს მეტი ძალა აქვთ, ვიდრე ძირითად კანონს, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ არა მარტო აფხაზეთის მოქალაქეები, არამედ რუსეთისაც — მის მიერ ჩვენთვის სამხედრო დახმარების გაწევის მიუხედავად. ჩვენი ხელმძღვანელობის წაყრუებით რუსი სამხედროები დაუსჯელ თვითნებობას აგრძელებენ. ადგილობრივი მოსახლეობა შესაძლებლობების ფარგლებში ამ ყველაფერს ეწინააღმდეგება, მაგრამ მისი ძალები ცხადია, არასაკმარისია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე განლაგებული სამხედროების უმსგავსობის აღსაკვეთად.**

იქნებ სენატორი ჯაბაროვი დაინტერესდეს ამ პრობლემით — თუ, რა თქმა უნდა, ამაშიც არ შეცდა და რუსეთში ჯერ კიდევ რეალურად თვლიან აფხაზეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

**ასტანდა ბგანბა**

## დიქტატორთა ერთობლივი წვრთნები

**რუსეთი, ბელარუსთან ერთად, დღეს მასშტაბურ სამხედრო წვრთნებს იწყებს. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება. გავრცელებული ინფორმაციით, წვრთნები ათდღიანი იქნება და მასში 30 000-მდე რუსი სამხედრო, ასევე „ეს-400“ სახმელეთო-საჰაერო სარაკეტო სისტემების ორი ბატალიონი და 35 ავიაგამანადგურებელი მიიღებს მონაწილეობას. ბელარუსში იმყოფება რუსეთის გენშტაბის მეთაური ვალერი გერასიმოვი.**

**თეთრი სახლი ამ წვრთნებს უკრაინის გარშემო არსებული ვითარების პირობებში „გამამწვავებელ“ ქმედებად აფასებს. დასავლური ქვეყნები შიშობენ, რომ უკრაინის საზღვართან მობილიზებული შეიარაღებული ძალების ფონზე, მოსკოვი შესაძლოა, უკრაინაში შეიჭრას.**

# რეგიონში აქტიური ბრიტანეთი და შანსი ახალი კავშირებისთვის

(მეოთხე გვერდიდან)

## რატომ არის საინტერესო ლონდონ-კიევ-ვარშავის ალიანსი?

**უშუალოდ ალიანსის შესახებ ჯერ ბევრი დეტალი არ არის ცნობილი, თუმცა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ, რომელიც 1 თებერვალს ბრიტანელ კოლეგაზე რამდენიმე საათით ადრე ესტუმრა კიევს, უკრაინის პრემიერ-მინისტრთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ასეთი თანამშრომლობის ფორმატის საფუძვლად რეგიონის უსაფრთხოება უნდა იქცეს.**

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში კი აცხადებენ, რომ ახალი ფორმატის შექმნას საფუძვლად უდევს არა გეოგრაფიული სიახლოვე, არამედ „საერთო პრინციპები“ და გამოწვევები, რომელთა შორის რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებაც იგულისხმება:

**„ვარშავა, კიევი და ლონდონი არა მხოლოდ რეალისტურად აფასებენ ევროპის უსაფრთხოების წინაშე მდგარ საფრთხეებს და რუსეთის მხრიდან მომდინარე გამოწვევების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობას, არამედ ასევე ფლობენ სამმხრივი თანამშრომლობის დიდ პოტენციალს ვაჭრობის, ინვესტიციების, ენერგეტიკის,** — კერძოდ, განახლებადი ენერგიის გამომუშავების — მიმართულებით. ერთობლივი ძალისხმევით ატლანტიკის, ბალტიისა და შავი ზღვის გაერთიანებით, ჩვენ შევქმნით ახალ შესაძლებლობებს ჩვენი ქვეყნებისა და რეგიონისათვის“.

ბენ ჰოჯესი რეგიონში გაერთიანებული სამეფოს ლიდერობას მიესალმება

**„ამ ალიანსის შესახებ დეტალური ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ მივესალმები მას და გაერთიანებული სამეფოს ლიდერობას რეგიონში. მე მხარს დავუჭერ ყველა საქმიანობას, რომელიც აძლიერებს უკრაინას ეკონომიკური, დიპლომატიური და სამხედრო თვალსაზრისით“.**

ჰერბსტის ხედვით კი, „ეს ალიანსის კიდევ ერთი დადასტურებაა დასავლეთის მზარდი მხარდაჭერისა უკრაინის მიმართ რუსეთის მხრიდან მიმდინარე მზარდი აგრესიის ფონზე“.

## არის საქართველოს ადგილი სამეულთან?!

**„საქართველომ შავი ზღვის რეგიონში შექმნილი კრიზისი უნდა გამოიყენოს, როგორც შესაძლებლობა, რათა ნათლად აჩვენოს, რამდენად მნიშვნელოვანია სტრატეგიულად საქართველო დასავლეთისთვის,— ამბობს ჰოჯესი და იქვე განმარტავს, რომ „საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა აქცევს მას ევროპასა და ევრაზიას შორის ხიდად. მისი ლოკაცია რუსეთის გვერდით აქცევს ქვეყანას ღირებულ წყაროდ იმის გასაგებად, თუ რა ხდება რუსეთსა და შავ ზღვაში“.**

ჰოჯესის ანალიზის მიხედვით, „საქართველო უმნიშვნელოვანესია შავი ზღვის მთელი რეგიონის ეკონომიკური განვითარებისთვის და უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ „ღია იყოს ბიზნესისთვის“, მათ შორის ფინანსური და სასამართლო პროცესების გამჭვირვალობის კუთხით“:

**„საქართველომ უნდა დაიწყოს ინტენსიური ძალისხმევა ინფრასტრუქტურის (საზღვაო ნავსადგურები, აეროპორტები, რკინიგზა, მილსადენები, ელექტროენერგია) გასავითარებლად, რაც აუცილებელია ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით“.**

# წადით, ბიჭებო, ჯარში!

### სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში მიღება იწყება. რას სთავაზობენ მსურველებს

**თავდაცვის ძალები 18-დან 36 წლის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეების საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში მიღებას იწყებს,** — ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალური შტაბის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა ჯონი ტატუნაშვილმა უწყებაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

**„თავდაცვის ძალები არის დიდი ოჯახი, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სამსახური რთული და გამოწვევებით აღსავსეა, არ არსებობს იმაზე საპატიო და ღირსეული საქმე, ვიდრე — დაიცვა და ემსახურო შენს ქვეყანას. ეს სამსახურზე მეტია.**

**4-წლიანი კონტრაქტის პირობებით, სამხედრო მოსამსახურეებს შეუძლიათ, ისეთი კარიერული და პროფესიული უნარების შესწავლა და ათვისება, რომლებიც მათ გამოადგებათ არა მხოლოდ სამხედრო სამსახურის პერიოდში, არამედ, თადარიგში გასვლის შემთხვევაში, იქნებიან ბევრად კონკურენტუნარიანები სამოქალაქო სექტორში.**

**სამხედრო მოსამსახურეებს სთავაზობენ:**

**უცხო ენების შესწავლას, როგორც საქართველოში, ისე — ევროპასა და აშშ-ში;**

**სხვადასხვა კარიერული და პროფესიული კურსის გავლას;**

**შესაბამისად, ჩვენი სამხედრო მოსამსახურეები, პირველი 4-წლიანი კონტრაქტის დასრულების შემდეგ, თუ გააგრძელებენ შემდეგ კონტრაქტებს, მათ ყოველი კონტრაქტის დასრულების შემდეგ მიეცემათ 7000-ლარიანი ბონუსი, რომლის გაზრდაც იგეგმება. ჩვენ ვთავაზობთ შესაბამის სახელფასო ანაზღაურებას, რომელიც მიმდინარე წელს გაიზარდა — 20%-ით დაბალი წოდების სამხედრო მოსამსახურეებისთვის და 10%-ით — მაღალი წოდების სამხედრო მოსამსახურეებისთვის. ასევე, დაგეგმილია მისი გაზრდა მიმდინარე წლის განმავლობაში;**

**სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს, საქართველოში აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის შემთხვევაში, საშუალება აქვთ, სახელმწიფოს 50%-იანი თანადაფინანსებით ისარგებლონ. ასევე, მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, მიიღონ 750-ლარიანი სტიპენდია სემესტრულად;**

**4 და მეტი შვილის ყოლის შემთხვევაში, მათ დამატებითი სახელფასო ანაზღაურება ეძლევათ. ასევე, შვილის შეძენის დროს, 1000-ლარიანი ბონუსი;**

**აქვთ საუკეთესო სადაზღვევო პაკეტი, საუკეთესო კვება, საუკეთესო ინფრასტრუქტურა, ნატოს სტანდარტის შეიარაღება და აღჭურვილობა, სპორტული დარბაზები;**

**რაც შეეხება საბინაო პოლიტიკას — გარკვეული სამსახურის შემდეგ, სერჟანტთა შემადგენლობას, მასტერსერჟანტისა და მაღალ წოდებაში მყოფებს, საშუალება აქვთ, სახელმწიფოს 50%-იანი თანადაფინანსებით მიიღონ საცხოვრებელი ბინა;**

**ასევე, ოფიცერთა შემადგენლობას, მაიორისა და მაღალ წოდებაში მყოფებს, შეუძლიათ, სახელმწიფოსგან მიიღონ 50%-იანი თანადაფინანსებით საცხოვრებელი ბინა“,** — განაცხადა ტატუნაშვილმა.

სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში რეგისტრაციის პროცედურები მაქსიმალურად გამარტივებულია. რეგისტრაცია, მთელი წლის განმავლობაში, შესაძლებელია ონლაინ (Onlinebct.mod.gov.ge), ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქში (თბილისი, გორი, ქუთაისი, სენაკი, ბათუმი და თელავი), იუსტიციის სახლებსა და რეკრუტირების მობილურ მანქანაში. რეკრუტები ფსიქოლოგიური ტესტირებისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ, საწყისი საბრძოლო მომზადების ორთვიან კურსს (BCT) გაივლიან. კურსის განმავლობაში, მათი სახელფასო ანაზღაურება შეადგენს თვეში 500 ლარს. BCT კურსის დასრულების შემდეგ, ისინი ტერიტორიული პრინციპის მიხედვით სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

# „სვეტის“ მიერ დაზარალებული ოჯახები საკუთარ ბინებს დათქმულ ვადაში მიიღებენ

**დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ, მერის მოადგილე ილია ელოშვილთან ერთად, დიდუბის რაიონში, მირცხულავას ქუჩაზე მდებარე სამშენებლო ობიექტი დაათვალიერა, რომელიც კომპანია „სვეტის“ მიერ დაზარალებული ოჯახების დასაკმაყოფილებლად შენდება.**



პროექტს ამჟამად სამშენებლო კომპანია M² ახორციელებს, რომელმაც დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების ვალდებულება 2019 წლის სექტემბერში, თბილისის მერიასთან დადებული შეთანხმების ფარგლებში აიღო.

**„ძალიან მიხარია, რომ ვხედავ ამ სამუშაოებს. კორპუსების ნაწილი ფაქტობრივად დასრულებულია, ხოლო ნაწილის მშენებლობა მიმდინარეობს. 2023 წლისთვის „სვეტის“ მიერ დაზარალებული ოჯახები მიიღებენ თავიანთ საცხოვრებლებს. სამ ადგილზე მიმდინარეობს მშენებლობა. ეს არის მირცხულავას, ნუცუბიძის და ჭყონდიდელის ქუჩები. პანდემიის გამო შექმნილი პრობლემების მიუხედავად, ამ ობიექტებზე ერთი დღით არ გაჩერებულა სამუშაოები. დაზარალებული ოჯახებისთვის მიცემული დაპირება 2023 წელს შესრულდება“,** — განაცხადა კახა კალაძემ. 2 500- მდე დაზარალებული ოჯახი საკუთარ ბინას დათქმულ ვადაში მიიღებს.

# „მეორე რესპუბლიკა“, ანუ ეროვნული ხელისუფლების 419 დღე

**დიდი ხანი არაა, რაც წიგნის მაღაზიების თაროებზე გამოჩნდა სამი ახალგაზრდა ავტორის მართლაც ტიტანური შრომის შედეგი, უშესანიშნავესი წიგნი-მატიანე — „ეროვნული ხელისუფლების 419 დღე“.**

**გიორგი არქანიამ, გიგი გიოშვილმა** და **გიორგი ბუცხრიკიძემ** შეუძლებელი შეძლეს და ქართველ მკითხველს ქრონოლოგიურად წარმოუდგინეს ეროვნული ხელისუფლების, ანუ „მეორე რესპუბლიკის“ ყოველდღიური მატიანე, რომელიც დაახლოებით 14 თვე, ანუ ზუსტად 419 დღე გაგრძელდა და, სამწუხაროდ 1992 წლის 6 იანვარს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული ხელისუფლების დამხობითა და განდევნით დასრულდა.




წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოში სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისკენ გარდამავალი პერიოდის მიმდინარეობას, ეროვნული ხელისუფლების წინაშე მდგარ გამოწვევებს, მის მიერ განხორციელებულ და დაგეგმილ რეფორმებს, საგარეო და საშინაო პოლიტიკას, იმ პერიოდის ქართველ საზოგადოებას, საბჭოთა კავშირში არსებულ სიტუაციას, დასავლურ სამყაროსა და მის დამოკიდებულებას საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი წლების სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, კულტურისა და განათლების სფეროებს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს და სხვა.

მართლაც დიდი სამუშაოა შესრულებული, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ 750-გვერდიან წიგნში გამოყენებულია იმდროინდელ საქართველოში გამომავალი ოცდაორი გაზეთი, უამრავი ფოტომასალა. ქრონოლოგიურად, დღეების მიხედვით ცოცხლდება „მეორე რესპუბლიკის“ ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფერო.

ეს მასშტაბური პროექტი გახლავთ და ჩაფიქრებულია ხუთი ტომის გამოცემა. პირველ ტომში, ანუ პირველ ნაწილში მოცემულია 1990 წლის ნოემბრიდან (14 ნოემბერი, როდესაც მუშაობას შეუდგა საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი სესია), 1991 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდი. მისი მომდევნო ნაწილები: II — 1991 წლის თებერვალი-აპრილი, III — მაისი-ივლისი, IV — ნოემბერი — 1992 წლის იანვარი.

წიგნის სამეცნიერო რედაქტორი გახლავთ **დიმიტრი შველიძე,** რედაქტორები — **ნატო გორდელაძე** და **ზვიად კვარაცხელია.** წიგნი გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა უახლესი ისტორიის ბიბლიოთეკის სერიით.

ამ, მართლაც შთამბეჭდავი გამოცემის ხელშემწყობია საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

**მამუკა ვაშაკიძე**

# რამაზ საყვარელიძე: დამნაშავეა ის, ვინც ადამიანებს ქონებას პარავს, მაგრამ ადამიანებს ვინც სულიერებას, რწმენას პარავს, ის ათასჯერ უფრო დიდი დამნაშავეა

(მეხუთე გვერდიდან)

— **სწორედ** მაგიტომ მოგახსენეთ, რომ ეს დანაშაული უარესია, ვიდრე მატერიალური ღირებულების ხელყოფა. სულიერი ღირებულების ხელყოფა უფრო ცოდვაა და შორსმიმავალი ცოდვა, მით უმეტეს, სასულიერო პირის წინააღმდეგ დაწყებული მიზანმიმართული ცილისწამება. ამიტომ, გამოძიება ამით უნდა დაინტერესდეს. სამშობლოს ღალატი არის ყველაზე დიდი დანაშული და რატომ? — იმიტომ კი არა, რომ მატერიალური ფუჭდება, არამედ, სამშობლოს როგორც ღირებულება ფუჭდება. ეს არის დაუშვებელი და ამის სადარაჯოზე უნდა დადგეს სახელმწიფო. „მამული, ენა, სარწმუნება“ — თქვა ილიამ. სამშობლო სარწმუნოების კომპონენტია და იმდენად დიდია, რომ მისი დაცვა ყველაზე ძალიერი ღირებულებაა. ასეთი აუცილებლობის წინაშე არის პროკურატურა.

**— სოსო გოგაშვილის წინააღმდეგ ვიხილეთ სკანდალური და ამავე დროს ხმაურიანი ჟურნალისტური გამოძიება, უმძიმესი ბრალდებები გავრცელდა. ერთია ჟურნალისტური გამოძიება, მაგრამ მეორე და უმთავრესია, როგორი იქნება პროკურატურის რეაგირება...**

— რასაკვირველია, მაგრამ როდესაც ხელისუფლების რომელიმე ერთი რგოლი-პიროვნება ცდილობს, რომ დაარღვიოს კანონი, დეზინფორმაცია გაავრცელოს, ის ამას მარტო ვერ გააკეთებს. არ ვიცი, რას გამოავლენს გამოძიება, მაგრამ როდესაც ასეთი ხმაურიანი ფაქტი ხდება, ძალიან საეჭვოა, რომ იქ გოგაშვილის ფიგურა მარტო იყოს.

**— როგორ ფიქრობთ, რა თამაში დაიწყო მან, როდესაც ალსარებებს აბარებს ოპოზიციურ არხებს, ცდილობს თუ არა ამ ხერხით მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებები პოლიტიკური მოტივით დატვირთოს?**

— ვერ გეტყვით. ისიც არ ვიცი, დაიწყო რამე თამაში, თუ აგრძელებს რაღაც თამაშს. ჩვენთვის ხომ ძალიან ბუნდოვანია რა ხდება მაგ სისტემაში. ვიცით, რომ ხელისუფლების შეცვლასთან ერთად არაფერი არ შეცვლილა მაგ სისტემაში და ისიც ვიცით, რომ ნაციონალებსაც ისეთი მემკვიდრეობა არ დაუტოვებიათ, ვთქვათ, რომ ყველაფერი წესრიგშია. კონკრეტულ პიროვნებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ბევრი რამ მაგ სისტემაში გადამოწმებას ითხოვს და გასაანალიზებელია იმ წარსულიდან, საიდანაც მოდიან ეს პიროვნებები.

**— შეიძლება ითქვას, რომ გოგაშვილი ცდილობს, დააშანტაჟოს ხელისუფლება? ფაქტია, რომ მას აქვს ინფორმაციები...**

— მგონია კი. ინტერვიუები რაც ვნახე, პრინციპში, ეს ინტონაციები იგრძნობოდა. თავისი აქტიურობით წინასწარ იკეთებს პოლიტიკურ ალიბს, ელფერს სძენს მის ინტერვიუებს, რომ მერე გაკეთდეს პოლიტიკური შირმა თავდაცვისათვის, ან შანტაჟი — თუ დამარტყამათ, მეც დაგარტყამთ იმ ინფორმაციებით, რაც მაქვს.

**— ეს ფაქტი ადასტურებს, რომ საკადრო ცვლილება ყველა ხელისუფალის პრობლემაა? ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შეცდომა იყო გათვლა არა პროფესიონალიზმე, არამედ მეგობრობაზე, ასე მოხდა შევარდნაძის და სააკაშვილის შემთხვევაშიც. ფაქტების მიუხედავად, ხელისუფლება იგივე ნაბიჯებს დგამს, პროფესიონალიზმზე მეტი ყურადღება ექცევა ნეპოტიზმს და ერთგულებას...**

— არაპროფესიონალიზმი რომ ცუდია, ეს დასტურდება დაწყებული მასწავლეებით და დამთავრებული ისეთი ოპერატიული მოვლენით, როგორიც არის ექიმის დახმარება. ერთი თაობებს გაგიფუჭებს, მეორე ადამიანებს მოკლავს არაპროფესიონალიზმიდან გამომდინარე. სახელმწიფოში არაპროფესიონალიზმი ადამიანებს თავსუფლების ფასად უჯდებათ, მაგრამ მთავარი კითხვაა — ამ შემთხვევაში არაპროფესიონალიზმი გვაქს, თუ ღალატი? პოსტსაბჭოთა ქვეყნებში „ტროას ცხენის“ ვარიანტები ძალიან ხშირია და ამავე დროს, იგივე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არაპროფესიონალიზმი ძალიან ხშირია. კი, იძახიან ლუსტრაციაო, მაგრამ ვხედავთ, რომ ვითარება უფრო რთულია. გეთანხმებით, დიდი პრობლემაა არაპროფესიონალიზმი, რაც ქვეყნის მტრობას ნიშნავს — იგივეს აკეთებს არაპროფესიონალიზმი, რასაც მტერი.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

ხუთი რგოლი

# აფსუს!

**პეკინის ოლიმპიადის ფიგურისტთა გუნდური ტურნირის პრიზიორთა დაჯილდოება მას შემდეგ გადაიდო, რაც ჩემპიონად გამოცხადებული რუსთის ოლიმპიური კომიტეტის ნაკრების ერთ-ერთი წევრის — კამილა ვალიევას დოპინგ-ტესტმა მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატის არსებობა დაადასტურა. ყველა კითხვაზე პასუხს მეორე სინჯი გასცემს.**



მოგეხსენებათ, „ჯვაროსნებმა" მოკლე პროგრამა მეექვსე ადგილზე დაასრულეს და მცირედით ჩამორჩნენ მასპინძლებს, რამაც ფინალისტთა ხუთეულში თავისუფალი პროგრამით სრიალის შანსი წაართვათ.

ახლა კი რა გამოდის? თუკი ჩრდილოელებს დისკვალიფიკაცია მისცეს, დანარჩენები თითო პოზიციით წინ წაიწევენ და ჩვენები მეხუთე საფეხურამდე აღზევდებიან, მაგრამ რაღა დროს?

დიახ, საქართველოს ნაკრებისთვის ფინალურ რაუნდს .განმეორებით აღარავინ გამართავს, არადა ჩვენი გუნდის მომზადების მაღალი დონის გათვალისწინებით გამორიცხული არაფერი იყო, მათ შორის უკვე ნაჩვენები ისტორიული შედეგის გაუმჯობესება და თვით უდიდესი სენსაციის მოხდენაც კი!

ეს განსაკუთრებით ჩვენი გუნდის ლიდერ **მორის ყვითელაშვილზე** ითქმის, რომელმაც გუშინ თავისუფალი პროგრამითაც შესანიშნავად ისრიალა და ვაჟთა ერთეულთა თანრიგში მე-10 ადგილი დაიკავა. აქამდე ქართველ ოლიმპიელთა საუკეთესო შედეგის ავტორი **ელენე გედევანიშვილი** იყო, რომელმაც 2010 წელს იტალიურ ტურინში მსგავსი მიღწევით გაგვახარა. მოკლედ, მორისმა რჩეულთა ათეული დახურა!

პეკინის ტრასაზე ასპარეზობა დაასრულა სამთომოთხილამურე **ნინო წიკლაურმაც,** რომელმაც სლალომში 42-ე ადგილი დაიკავა. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ოთხი თამაშების მონაწილესა და ქართული დელეგაციის ერთ-ერთ მედროშეს გიგანტურ სლალომში 34-ე შედეგი ჰქონდა.

ჩემპიონთა გალერეა

**სამთო თხილამურები.** მაიერი (ავსტრია), ვლჰოვა (სლოვაკეთი); **თხილამურებით რბენა.** სუნდლინგი (შვედეთი), კალებო (ნორვეგია); **ბიათლონი.** მეიე (საფრანგეთი); **ქერლინგი.** იტალია; ფრისტაილი. ეილინ გუ (ჩი:ნეთი), რუუდი (ნორვეგია); **ციგაობა.** ჰაიზენბერგერი (გერმანია); **ჩრდილოური ორჭიდი.** გაიგერი (გერმანია); **სნოუბორდი.** ლედეცკა (ჩეხეთი), კარლი (ავსტრია), ჯაკობელისი (აშშ); **ციგურებით რბენა.** ნუისი (ნიდერლანდები); **შორტ-ტრეკი.** ჰვანგი (კორეა).

საუკეთესო მედალოსანთა ნადავლი.

**გერმანია — 8 (5, 3, 0), ნორვეგია — 10 (4, 2, 4), შვედეთი — 7 (4, 1, 2), ნიდერლანდები — 7 (3, 3, 1), ჩინეთი — 5 (3, 2, 0), ავსტრია — 10 (2, 4, 4), იტალია — 7 (2, 4, 1), რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი — 11 (2, 3, 6), სლოვენია — 5 (2, 1, 2). თითო „ოქრო": აშშ, საფრანგეთი, კანადა, იაპონია, შვეიცარია, ავსტრალია, კორეა, ჩეხეთი, ახალი ზელანდია, სლოვაკეთი.**

უკანასკნელი ქართველი ოლიმპიელი **სოსო ჯაფარიძე** გიგანტურ სლალომსა და სლალომში 13 და 16 თებერვალს იასპარეზებს.

ტატამზე

# კოვიდის პირისპირ



**როგორც მოგეხსენებათ, კოვიდპანდემიამ მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც პარიზის პრესტიჟულ გრანდ სლემზე მხოლოდ 6 წევრით წარსდგა, თუმცა სამშობლოში წონიანი ნადავლით დაბრუნდა — 4 მედალი (1, 1, 2).**

17-19 თებერვალს მსგავს ტურნირს ისრაელი უმასპინძლებს, სადაც 33 ქვეყნის 323 წარმომადგენელს შორის განაცხადი ჩვიდმეტმა „ჯვაროსანმა" შეიტანა და, ვიმედოვნებთ, ისინი უდანაკარგოდ იჭიდავებენ აღქმულ მიწაზე.

შეგახსენებთ, რომ იქ შარშან ჩვენმა ნაკრებმა 8 მედალი მოიპოვა (2, 1, 5), წელს კი მის სპორტულ ღირსებას დაიცავენ: **ვაჟები** — ირაკლი კუპატაძე, თემურ ნოზაძე (60), გიორგი თუთაშვილი, ლაშა ნადირაძე (66), ფრიდონ გიგანი, გიორგი ჩიხელიძე (73), ლევან გუგავა, ვლადიმერ ახალკაცი (81), უშანგი მარგიანი, გიორგი პაპუნაშვილი (90), ილია სულამანიძე, ონისე სანებლიძე (100), გურამ თუშიშვილი, ონისე ბუღაძე (+100); **ქალები** — მარიამ ჯანაშვილი (52), ეთერ ლიპარტელიანი (57), სოფიო სომხიშვილი (+78). დავძენთ, რომ ტოკიოს ოლიმპიადის შემდეგ გურამ თუშიშვილი პირველად მოირგებს კიმონოს.

ოვალური ბურთი

# ვის არ მოსდის...

**მართალია, ზედიზედ 20 გამარჯვების შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის სტარტზე შინ პორტუგალიელებთან დამუხრუჭდა — 25:25, მაგრამ რაგბი ევროპის ოფიციალურმა საიტმა პირველი ტურის სიმბოლურში „ბორჯღალოსანთა" სოლიდური რაოდენობა მაინც შეიყვანა.**

ესენი არიან: **ბურჯი** ბექა გიგაშვილი (8 ბოჭვა, 3 ბურთის წაღება), **9 ნომერი** გელა აფრასიძე, **მესამეხაზელი** სანდრო მამამთავრიშვილი, რომელიც ქვეყნის მთავარ გუნდში პირველად თამაშობდა, **ბეკი** აკაკი ტაბუცაძე და **სათადარიგო** ოთარ გიორგაძე.

ტურნირის დანარჩენ მონაწილეთა წარმომადგენლობა რჩეულთა შორის ასეთია: რუმინეთი — 5, პორტუგალია — 3, ესპანეთი — 2 და რუსეთი — 1 მორაგბე.




დავძენთ, რომ პირველი გამარჯვებები მოიპოვეს რუმინეთმა — რუსეთთან 34:25 და ესპანეთმა — ნიდერლანდებთან 43:0, „ბორჯღალოსნები" კი ხვალ ამსტერდამში სწორედ ამ უკანასკნელებს შეხვდებიან. მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი „ტელეიმედზე" 16 საათსა და 15 წუთზე დაიწყება.

მრავალჟამიერ!

# გამარჯვებული სიყვარული - 30

**ქვეყნისათვის საბედისწერო 1992 წლის 11 თებერვლის სუსხიანი საღამო კახა მაზმიშვილისა და მარინა ბოლქვაძის გამარჯვებული სიყვარულის პირველი ნაყოფის — გიორგის დაბადებამ გაგვილამაზა.**

ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო, მოგვიანებით კიდევ ერთხელ დაადასტურა დიდი მაესტროს — გიორგი ცაბაძის ნათლულის უფროსმა ვაჟკაცმა და წყალბურთით გატაცებული აუზში გაკაჟდა ფიზიკურად, მაგრამ როცა ცხოვრებისეულ გზაგასაყარზე აღმოჩნდა, უპირატესობა სწავლა-განათლებას მიანიჭა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო — უკვე წამოჩიტული ბიჭებით ხარობდნენ სამაგალითო მშობლები, როცა მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა და სხვათა ტკივილების დაამებაში გამობრძმედილი ცნობილი ექიმი ბავშვობის მეგობართაგან პირველი მოულოდნელად გახდა უკვდავების ბინადარი. 2 დეკემბერს იმ ტრაგიკული დღიდან 10 წელი სრულდება.

საბედნიეროდ, აღნიშნულ თბილ ოჯახში სიცოცხლე გრძელდება — **გიო** და **ლილე** პატარა ალექსანდრეს უზრდიან სამშობლოს და იუბილარები არიან.

**მრგვალ თარიღს გილოცავთ, ძვირფასებო!**

**გია პლატონიშვილი**

ლეგიონერები

# ასეც, ისეც...

**მართალია, „ინდიანამ" წლევანდელი სეზონი ჩააგდო და პლეი-ოფს მიღმა რჩება, მაგრამ რეგულარულის მიწურულს მოვლენები გოგა ბითაძისთვის სასიკეთოდ ვითარდება.**

საუბარია მაილს ტერნერის ტრავმასა და გუნდიდან დომანტას საბონისის წასვლაზე, რომელიც კარიერას „საკრამენტოში" გააგრძელებს, რითაც ქართველ ცენტრს სასტარტო ხუთეულისკენ მწვანე შუქი აენთო, ეს კი, მოგეხსენებათ, ავტომატურად გაზრდილ სათამაშო დროსა და საკუთარი შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენას ნიშნავს.

აღნიშნული მოსაზრება „ატლანტასთან" სტუმრად 112:133 წაგებულმა შეხვედრამაც დაადასტურა, რომელშიც „ჯვაროსანთა" ერთ-ერთი ლიდერისთვის „პეისერზის" მწვრთნელებმა 30(!) წუთი გაიმეტეს და გამოცხადებულ ნდობას ჩვენმა თანამემამულემ ღირსეული სტატისტიკით უპასუხა: 14 ქულა, 4 მოხსნა, 3 დაფარება და 2-2 ჩაჭრა-პასი.

* * *

**ამჯერად** უჩვეულოდ ცოტა — 19 წუთი გაატარა პარკეტზე „ტენერიფეს" ყოჩმა **გიორგი შერმადინმა,** რომელიც პარტნიორებს მხოლოდ 4 ქულით და 7 მოხსნით შეეწია, თუმცა კუნძულელებს მაინც არ გასჭირვებიათ შინ „ლიეტუვას რიტასის" დამარცხება — 89:75 და ამ გამარჯვებით ესპანური კლუბი სათავეში ჩაუდგა ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის სატურნირო ცხრილს. მას აქტივში 3-დან 3 მოგება და ქულათა საქსიმუმი აქვს.




* * *

**მოახლოებული** სანაკრებო მატჩების წინ დამაფიქრებელია **თორნიკე შენგელიას** ტრავმა, რაც ჯერჯერობით მხოლოდ ცსკა-ს შედეგებზე აისახება.

არმიელებმა მორიგი მარცხი ვითიბი ლიგის საშინაო ბრძოლაში იწვნიეს ყაზანის „უნიქსთან", რომელიც დამატებით დროში დათმეს — 103:105 და ბალანსით 10-3 მესამე პოზიცია უკავიათ.

ვიმედოვნებთ, „ჯვაროსანთა" კაპიტანი მალე ჩადგება მწყობრში.

ელიტაში




# გრანდის მილიონები

**ესპანური მედიაპლატფორმა „სპოტიფაი" წლევანდელი ზაფხულიდან კატალონიური „ბარსელონას" ახალი გენერალური სპონსორი გახდება და „რაკუტენს" შეცვლის.**

შესაბამისი კონტრაქტი სამ სეზონზე გაფორმდა, მისი ღირებულება კი 237 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

ხელშეკრულების თანახმად, ამიერიდან „კამპ ნოუს" „სპოტიფაი კამპ ნოუდ" გადანათლავენ.



# აზერბაიჯანელი სტუდენტები საქართველოს პარლამენტში

**მე ვარ ელვინ თაღიევი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. კაბალიდან. 2015 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებით გავხდი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი. 1+4 პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტში ერთი წელი ქართული ენის მოსამზადებელ კურსზე ვისწავლე და შემდგომ საინჟინრო ეკონომიკის მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამაზე ვისწავლე.**

ამჟამად Aktual.ge მედია სკოლის მონაწილე ვარ. სტუდენტობის მე-3 კურსის სტუდენტობის დროს გავიგე საქართველოს სტუდენტური პარლამენტის, საპარლამენტო სტაჟირების პროექტის შესახებ და დაუყოვნებლივ გადავწყვიტე, მიმეყო მონაწილეობა. როგორც ყველა სტუდენტი, მეც თავიდან პროექტზე, როგორც სტაჟიორმა წევრმა, მივიღე მონაწილეობა, კერძოდ „რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში". აღნიშნულ კომიტეტში ერთ სემესტრის სტაჟირების შემდგომი სემესტრში დამაწინაურეს იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. მეორე სეზონიც წარჩინებულად რომ დავამთავრე მესამე სემესტრში უკვე შემომთავაზეს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეობა. ამჟამად კი უკვე საქართველოს სტუდენტურ პარლამენტში „დიასპორისა და კავკასიის საკითხთა" კომიტეტის თავმჯდომარე ვარ. საქართველოს სტუდენტური პარლამენტი 2015 წლიდან სტუდენტების საქართველოს საკანონმდებლო ორგანო პარლამენტში სრულიად უფასოდ, ალტერნატიულად და მათთვის მოქნილი გრაფიკით სთავაზობს სტაჟირების გავლას. ეს არის ერთ-ერთი მასშტაბური და გრძელვადიანი პროექტი რომელიც საქართველოს პარლამენტისა და „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტური გაერთიანების" მიერ განხორციელებული ერთობლივი სტაჟირების პროექტია.

საქართველოს პარლამენტის მსგავსად სტუდენტურ პარლამანტშიც 15 დარგობრივი კომიტეტია შექმნილი. პროგრამას ქართველი სტუდენტებთან ერთად უერთდებიან „საქართველოს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, და განსაკუთრებით აზერბაიჯანელი ახალგაზრდებიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას. ჩვენ თემატური სწავლების პროგრამის ფარგლებში, სემესტრის განმავლობაში ჩვენს მონაწილეებს სხვადასხვა საინტერესო ტრენინგებსა და შეხვედრებს ვთავაზობს. ამ შეხვედრებზე ძირითადად მიზნად ისახება პარლამენტის წევრებთან, კომიტეტის თავმჯდომარეებთან, აპარატის წევრებთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრების გამართვა, რათა იმავე გაუზიარონ ჩვენს სტაჟიორებს თავიანთი ცოდნა, გამოცდილება და პარლამენტი როგორც საკანონმდებლო ორგანოს სამუშაო სისტემა.

აღნიშნულ შეხვედრების ფარგლებში მონაწილეებმა პარლამენტში პლენარულ სხდომასა და საკომიტეტო სხდომებზე კანონპროექტების განხილვის პროცესებს ესწრებიან. ამის გარდა, ჩვენს მონაწილეებს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, აკადემიკოსებთან, პროფესორებთან, და საჯარო მოხელეებთან სემინარებს ვთავაზობთ. ეს ყველაფერე რაც ავღნიშნეთ მოკლედ ჩამოვიყალიბე.

მონაწილეები როდესაც ესწრებიან შეხვედრებს, ეს მათთვის შეხვედრიდან გამომდინარე, შესაბამისი ქულათა სისტემით ფასდება. სემესტრის განმავლობაში ჩვენს პირველი სემესტრის მონაწილემ მინიმუმ 25 ქულიანი ბარიერის გადალახვა უწევს, რათა დაიმსახუროს საქართველოს სტუდენტური პარლამენტის „მანდატი". მეორე სეზონის წარმატებულად როდესაც ამთავრებს მონაწილე შესაბამისი „დიპლომით" ჭილდოვდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველსო სტუდენტური პარლამენტი ახალი საგაზაფხულო სეზონისთვის, 1 თებერვლიდან წევრების მიღება დაიწყო და გრძელდება 1 მარტის ჩათვლით. ახალი სტაჟირების სეზონი ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გათვალისწინებით მარტის დასწყისიდან აქტიურ რეჟიმში დაიწყებს მუშაობას.

საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ კიდევ 1992 წლის 18 ნოემბერს დამყარდა. ამ ორ მეზობელ, მეგობარ და სტრატეგიულ მოკავშირე ქვეყნებს შორის უმაღლეს დონეზე განვითარებული დიპლომატიური ურთიერთობები უკვე 30 წელს უკან ტოვებს.

# პირველი სპორტული კლუბი



**მარნეულში მცხოვრები კალათბურთელის ფიდან ბაირამოვას ძალისხმევით შარშან აზერბაიჯანელი გოგონებისგან შემდგარი კალათბურთის გუნდი შეიქმნა.**

ამჟამად მარნეულის 8-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე-სპორტსმენი იმავე გუნდის მთავარ მწვრთნელადაც მოგვევლინა.

2018 წლიდან კალათბურთით დაკავებული ბაირამოვა განმარტავს თუ როგორ გაჩნდა გუნდის შექმნის იდეა: **„ჩემი ერთადერთი მიზანი ის იყო, რომ გავხდე კალათბურთის მოთამაშე და მონაწილეობა მივიღო საქართველოს ეროვნულ გუნდში. ორი წელი ვითამაშე მარნეულის გუნდში. მაგრამ ჩვენი გუნდი პანდემიის გამო დაიშალა. შემდეგ საქართველოს აზერბაიჯანელების ინტეგრაციის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ორხან ფირვერდიევს გოგოებისთვის კალათბურთის კლუბის შექმნა შევთავაზე. ჩემი შემოთავაზება დადებითად მიიღო და დიდი სიამოვნებით დაგვეხმარა. შედეგად მხოლოდ გოგოებისგან შედგენილი 30 კაციანი ჯგუფი შევქმენი. ჩვენი მიზანია,რომ ბავშვებს შევაყვაროთ სპორტი და მთელ მსოფლიოს ვუჩვენოთ, თუ რა წარმატებების მიღწევა შეუძლიათ საქართველოს აზერბაიჯანელებს. მჯერა, რომ მივაღწევთ ჩვენს მიზნებს ახლო მომავალში".**

მისი სიტყვებიდან გამომდინარე, გუნდის მატერიალურ-ტექნიკური პრობლემები საქართველოს აზერბაიჯანელების ინტეგრაციის ცენტრის მიერ მხარდაჭერილი იქნება: **„მაგრამ ჩვენ გვჭირდება ბურთები და ფორმები. აზერბაიჯანის რესპუბლიკის დიასპორასთან მუშაობის სახელმწიფო კომიტეტი ამდაგვარ საკითხებში საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისგან არ ზოგავს მხარდაჭერას. ამიტომაც საქართველოს აზერბაიჯანელების ინტეგრაციის ცენტრის მეშვეობით მინდა მივმართო კომიტეტის ხელმძღვანელობას. ეჭვი არ მეპარება, რომ მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას მივიღებთ".**

ბაირამოვამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„აზერბაიჯანელი ქალები ძალიან დაყურადღებულნი არიან სპორტით საქართველოში: რადგან თითოეული სპორტი განკუთვნილია მხოლოდ ბიჭებისთვის, ჩვენს ქალებს სპორტით დაკავების შანსი არასდროს ჰქონდათ. ჩვენ მიერ შექმნილი საკალათბურთო კლუბი რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანელი ქალებისთვის პირველი სპორტული კლუბია,**— თქვა ფ.ბაირამოვამ.

**მურთაზ ჯაფარელი**



## მართლაც სახალხო მხატვარი

**ქართულმა კულტურამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საქართველოს სახალხო მხატვარი, ცნობილი ფერმწერი, გრაფიკოსი, რუსთაველის და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე, მხატვართა კავშირის მდივანი, დიდი პატრიოტი და საზოგადო მოღვაწე, უკეთილშობილესი ადამიანი და პედაგოგი, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრი, პროფესორი**

## გივი თოიძე

**და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.**

**თამაზ შილაკაძე,**

**საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე.**

---

**საქართველოს მეგზეევთა საზოგადოება და ამ საზოგადოების თავმჯდომარე თამაზ შილაკაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენის მფლობელი, ვეტერანი მეგზევე, სხვადასხვა პერიოდში საგზაო დარგის სამშენებლო, საექსპლუატაციო და საპროექტო ორგანიზაციების ხელმძღვანელი და მრავალი საგზაო ინფრასტრუქტურული ობიექტის მოწყობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი**

## მურმან დუნდუა

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს**

---

**კოტე შენგელია, გურამ მირზიკაშვილი, კობა ხიზანიშვილი, თეიმურაზ ვაშაკიძე, ედუარდ ივანიშვილი, ვაჟა ბუღაძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ღირსეული ადამიანის, უკეთილშობილესი პიროვნების**

## თეიმურაზ ბრელიძის

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და სხვა ჭირისუფალთ.**

---

## მირიან შველიძე



**75 წლის ასაკში გარდაიცვალა მხატვარი და თეატრალური დეკორატორი მირიან შველიძე. იგი 1975 წლიდან დღემდე იყო რუსთაველის თეატრის მთავარი მხატვარი.**

**მისი გაფორმებულია სპექტაკლები: „ყვარყვარე", „რიჩარდ III", „მეფე ლირი", „ტიტუს ანდრონიკუსი", „მაკბეტი", „ქალის ტვირთი", „ჯაყოს ხიზნები" და სხვა. მირიან შველიძე იყო საქართველოს სახალხო მხატვარი, ასევე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.**

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!




# ეროვნული არქივი საერთაშორისო ფესტივალს გამართავს

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივი თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალს პირველად ჩაატარებს.** ფესტივალი 2022 წლის 5-9 ოქტომბერს ეროვნული არქივის კინოდარბაზში გაიმართება.

**„ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იქნება საქართველოსა და უცხო ქვეყნების საარქივო, სამუზეუმო, საბიბლიოთეკო თუ სხვა დაწესებულებებში დაცული ყველაზე ძველი კინოდოკუმენტები — ერთი ფილმი ან ფილმების პროგრამა. ღონისძიების მონაწილეებს 15-წუთიანი პრეზენტაციების გამართვის შესაძლებლობაც მიეცემათ. აღსანიშნავია, რომ ფესტივალის თემატიკა ყოველწლიურად შეიცვლება“,** — აღნიშნულია ეროვნული არქივის ინფორმაციაში. მათივე ცნობით, თბილისის საარქივო ფილმების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი და წარსადგენ ფილმთან დაკავშირებული მასალა უნდა გაგზავნონ 2022 წლის პირველ ივლისამდე ელექტრონული ფოსტის მისამართზე: TIAFF@archives.gov.ge ან მატერიალური ფორმით მისამართზე: საქართველოს ეროვნული არქივი, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 1, თბილისი, საქართველო 0160.

# კიდევ ერთხელ ბერლინში

**ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ევროპული კინობაზრობის ფარგლებში, ეროვნული კინოცენტრი წელს მეჩვიდმეტედ წარადგენს საქართველოს პავილიონს, სადაც ინდუსტრიული კუთხით იმუშავებს ეროვნული კინოცენტრის გუნდი კინოცენტრის დირექტორის — გაგა ჩხეიძის ხელმძღვანელობით.**




პანდემიის გამო, ბერლინის 72-ე საერთაშორისო კინოფესტივალი ჰიბრიდული ფორმატით გაიმართება. 10-17 თებერვალს მოეწყობა ევროპული კინოს ვირტუალური ბაზრობა — European Film Market, ხოლო 10-20 თებერვალს ბერლინის კინოთეატრებში გაიმართება ფესტივალის ყველა ტრადიციული სექციის, მათ შორის — საერთაშორისო კონკურსის, პანორამის, ფორუმის, რეტროსპექტივის ფილმების ჩვენება.

# ქართული ფილმები ევროპულ კინობაზარზე

**ევროპულ კინობაზარზე ეროვნული კინოცენტრი სამ ქართულ სრულმეტრაჟიან ფილმს წარადგენს.**

**„სამურაი დასვენების ჟამს“** — რეჟისორი ლევან თუთბერიძე (საქართველო) 13 თებერვალი, 12:40 საათი, Virtual Cinema 3;

**„მშვენიერი ელენე“** — რეჟისორი გიორგი ოვაშვილი (საქართველო, საფრანგეთი, თურქეთი) 14 თებერვალი, 15:00 საათი, Virtual Cinema 23;

**„ლოტო – იგავი ზღვისპირა ქალაქზე“** — რეჟისორი ზაზა ხალვაში (საქართველო, ლიეტუვა) 15 თებერვალი, 12:40 საათი, Virtual Cinema 6.

ფილმების ჩვენებების გარდა, საქართველოს ვირტუალურ პავილიონში ონლაინ გაიმართება შეხვედრები გაყიდვების აგენტებთან, დისტრიბუტორებთან და კანის, მონპელიეს, კარლოვი ვარის, კოტბუსისა და სხვა საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებთან. ონლაინშეხვედრებს, კინოცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრება 10 ქართველი პროდიუსერი, რომელიც ბერლინის კინოფესტივალზე მონაწილეობისთვის კონკურსის საფუძველზე შეირჩა: **ქეთი კალანდარიშვილი, ქეთი დანელია, რატი ონელი, თიკო ნადირაშვილი, თეკლა მაჭავარიანი, ვლადიმერ კაჭარავა, ელია ფარსადანიშვილი, ელენე მარგველაშვილი, დათო ისაკაძე, გიორგი მუხაძე.**

წელს ბერლინის კინოფესტივალის ერთ-ერთ სექციაში სახელწოდებით „წიგნები ბერლინალეზე“, რომელიც სხვადასხვა ლიტერატურული ნაწარმოების სამომავლო ეკრანიზაციის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა, 10 წიგნს შორის წარადგენენ ცნობილი ქართველი მწერლის, ნინო ხარატიშვილის ახალ რომანს — „უკმარი სინათლე“.

# „ბუფერული ინტერვალები“ ეროვნულ გალერეაში

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა 18 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით მხატვარ როკო ირემაშვილის პერსონალურ გამოფენას „ბუფერული ინტერვალები“ უმასპინძლებს. ეროვნული გალერეის პრესსამსახურის ინფორმაციით, გალერეაში გამოფენის სამზადისი აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის კურატორები არიან ნინო გუჯაბიძე და ანა ჟვანია.**

როკო ირემაშვილის საგამოფენო პროექტი „ბუფერული ინტერვალები“ მულტიმედიური პროექტია, რომელიც მხატვრის საკუთრებაში არსებულ 25 ნამუშევარს მოიცავს. მისი შემოქმედების მთავარი ხელწერა სხვადასხვა მედიების გამოყენებით ინტეგრირებული ნამუშევრების შექმნაა, რაც ამა თუ იმ შინაარსის ორიგინალურად და მძაფრად გადმოცემის საშუალებას იძლევა. პროექტ „ბუფერულ ინტერვალებში“ ადამიანის თავისუფლებისკენ სწრაფვა და მუდმივი წინაღობების გადალახვის პროცესია ასახული, ასევე, ნამუშევრები „თავისუფლების“ თემით მანიპულაციის საფრთხეების შესახებაც მოგვითხრობს.



# „ოსკარის“ 2022 წლის ნომინანტები

**ამერიკის კინოაკადემიამ „ოსკარის“ დაჯილდოების 94-ე ცერემონიის ნომინანტები დაასახელა . ყველაზე მეტ, 12 კატეგორიაშია წარდგენილი ჯეინ კემპიონის ფილმი „ძაღლის ძალა“. 10 ნომინაციაშია წარდგენილი დენი ვილნევის „დიუნი“. შვიდ-შვიდ კატეგორიაში არიან წარდგენილნი „ბელფასტი“ და „ვესტსაიდური ამბავი“.**




საუკეთესო ფილმის კატეგორიაში წარდგენილია სურათები: **„ბელფასტი“, „კოდა“, „არ აიხედო მაღლა“, „დიუნი“, „მეფე რიჩარდი“, „ძაღლის ძალა“, „ვესტსაიდური ამბავი“, „მართე ჩემი მანქანა“, „ძირტკბილას პიცა“, „კოშმარული ხეივანი“.**

საუკეთესო რეჟისორის ტიტულის მოსაპოვებლად ერთმანეთს **კენეტ ბრანა, რიუსუკე ჰამაგუჩი, პოლ თომას ანდერსონი, ჯეინ კამპიონი, სტივენ სპილბერგი** შეეჯიბრებიან.

ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი ქალი“ წარდგენილნი არიან: **ჯესიკა ჩესტეინი, ოლივია კოლმანი, პენელოპა კრუზი, ნიკოლ კიდმანი, კრისტენ სტიუარტი.**

ნომინაციაში „საუკეთესო მსახიობი კაცი“ კი **ხავიერ ბარდემი, ბენედიქტ კამბერბატჩი, ენდრიუ გარფილდი, უილ სმიტი, დენზელ ვაშინგტონი** არიან წარდგენილნი.

„საუკეთესო ანიმაციური ფილმის“ კატეგორიაში მოხვდნენ: **„ენკანტო“, „ლუკა“, „მიტჩელები მანქანების წინააღმდეგ“, „რაია და უკანასკნელი დრაკონი“, „გაქცევა“.** „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონია ლოს-ანჯელესში 27 მარტს ჩატარდება.

# შოუბიზნესის გიგანტები

**ამერიკულმა ჟურნალმა Forbes-მა შოუბიზნესის ყველაზე მაღალანაზღაურებადი წარმომადგენლები დაასახელა. რეიტინგის ლიდერი ახალზელანდიელი რეჟისორი პიტერ ჯექსონი გახდა. ერთი წლის განმავლობაში ტრილოგიის „ბეჭდების მბრძანებლის“ რეჟისორმა 589 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.**



სიაში მეორე ადგილს 435 მილიონი დოლარით ამერიკელი მუსიკოსი, ბრიუს სპრინგსტინი იკავებს, რომელმაც თავისი სიმღერების კატალოგზე უფლება კომპანია Sony-ს ნახევარ მილიარდ დოლარად მიჰყიდა, მესამე ადგილზეა რეპერი Jay-Z, რომელმაც 340 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ათეულში ასევე მოხვდნენ მსახიობი დუეინ ჯონსონი, რეპერი კანიე ვესტი და OneRepublic-ის ფრონტმენი რაიან ტედერი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 14 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.9331; ევრო - 3.3546;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.9840;
100 რუბლი - 3.9253; თურქული ლირა - 0.2173;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7293;
1000 სომხური დრამი - 6.1201.

**ამინდი 11 თებერვლისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -2, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -7, | დღე | +7 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | -1, | დღე | +10 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე | +7 |
| თბილისი: | ღამე | +2, | დღე | +9 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge